# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 10 თებერვალი. 2017 წ. №31-32 (8168-8169), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რონინ მეტრეველი:

## რის ალანია, რა ალანია, ცხინვალი შიდა ქართლია!



XXI საუკუნეში, ამ ე.წ. იმედის საუკუნეში, ადამიანი ისეთივე ხარბია და ბოროტი, როგორიც წინა საუკუნეებში იყო. ქალმომრეობას კვლავ ფართო გზა აქვს ②



## საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზო მიმოსვლას 29 მარტიდან შეძლებენ

საქართველოსთვის პირველი უვიზო დღე 29 მარტი იქნება, — ამის შესახებ „რადიო თავისუფლების" ბრიუსელის რეპორტიორი რიკარდ იოზვიაკი „ტვიტერზე" წერს. მისივე მტკიცებით, უვიზო მიმოსვლა უკრაინის მოქალაქეებისთვის 12 ივნისიდან დაიწყება.

ევროპარლამენტმა პლენარულ სხდომაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას საბოლოოდ 2 თებერვალს დაუჭირა მხარი, რაც საკითხის პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტის ბოლო ეტაპი იყო.

შემდეგი პროცედურით, განახლებულ დოკუმენტს ევროკავშირის საბჭო მინისტრების დონეზე დაამტკიცებს და კენჭისყრას ჩაატარებს, ხოლო საბოლოოდ, ევროპარლამენტის პრეზიდენტი და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის შესაბამისი წარმომადგენელი მოაწერენ ხელს ცვლილებას, რომელიც ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდება.

დოკუმენტის გამოქვეყნებიდან ზუსტად ოც დღეში, ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ.

## რას ვერ ეგუება პრემიერი საზოგადოებრივ მაუწყებელზე? ③

## მოსკოვი თვითონ უბიძგებს ქართველებს, რომ მტერა დასავლეთს მიაპყრონ ⑤



## ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი ინიციატივა სტუდენტებისთვის ④

## ქართული პურის ისტორია ⑥



## მსოფლიოს ყველაზე საშიში ტელეფონი იყიდება ⑳



მანანა დანგაძე:

## თავაწეულმა იარე, ჩემო ქართველო დღესაც!.. ⑦

# რის ალანია, რა ალანია, ცხინვალი შიდა ქართლია!

## XXI საუკუნეში, ამ ე.წ. იმედის საუკუნეში, ადამიანი ისეთივე ხარბია და ბოროტი, როგორიც წინა საუკუნეებში იყო. ძალმომრეობას კვლავ ფართო გზა აქვს

**სრულიად გაუგებარია (აღმაშფოთებელიც) ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობის მცდელობა იმისა, რომ ცხინვალის რეგიონს ალანია ეწოდოს. ეს, ერთი მხრივ, ისტორიის უცოდინარობაზე მეტყველებს, მეორე მხრივ, რეალური ვითარების აშკარა უგულებელყოფას წარმოადგენს. საერთოდ კუთხეზე, რეგიონზე სახელის შერქმევა დეკრეტით არ შეიძლება მოხდეს, ისტორიული გეოგრაფიის გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში ხალხის გამოკითხვა ფარსია, შეფარვაა საკითხისადმი არაკომპეტენტური, გულგრილი დამოკიდებულებისა. უფრო მეტიც, ჭეშმარიტად ქართული მიწისათვის სახელის თვითნებურად შეცვლა ბოროტებაა.**

## როგორია საქმის ვითარება?

**ოსები, ვფიქრობთ, სადავო არ არის, რომ ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) გარკვეული საუკუნეების წინათ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშანდობლივია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო აღმოსავლურ ჯგუფს).** X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო). თემურ-ლენგის შემოსევებმა ოსების გაერთიანებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.). ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართლში გადმოსვლას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII-XVIII სს-ში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზე) ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსები) იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშანობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. შემონახულია ცნობები, რომ ოს ყმა-გლეხებს ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე II.

## ორიოდე სიტყვით ალანების შესახებ

**ალანი არაბულ წყაროებში მოხსენიებული ირანული ტომის სახელწოდებაა.** მოხსენიებულია XII საუკუნის არაბი მეცნიერისა და მწერლის იაკუთისა (იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-რუმი ალ-ჰამავი) და XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ალ-ფიდას (ისმაილ იბნ ალი) თხზულებებში. წყაროების მიხედვით, ალანთა ტომი სახლობდა შუა აზიაში (ისლამის პერიოდი). ისინი აქედან გადასახლებულან კავკასიის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. პროფესორ ი. მარკვარტის მიხედვით, IX საუკუნიდან ისინი ცნობილი იყვნენ „ას"-ის სახელით. იმავე სახელს („ას") მონღოლთა პერიოდიდან ადასტურებს აკადემიკოსი ვ. ბარტოლდი (იხ В.В. Бартольд, Аланы, сочинения Т. 2, М, ч. I, М, 1963, გვ. 866-867). ამასთან, ამ უკანასკნელს მოაქვს X-XI საუკუნეების შუააზიელი მეცნიერის, ენციკლოპედისტის ალ-ბირუნის (აბულ-რაიჰან მუჰამედ იბნ აჰმადი) ცნობა, რომ „ალანთა და ასთა" მოდგმა ცხოვრობდა არალისა და კასპიის ზღვებს შორის. ისინი შედარებით გვიან გადმოსახლებულან ჩრდილო კავკასიაში. ფორმა „ას"-ი საფუძვლად უდევს „ოსს" (ოსი-ოსეთი – ჩამოყალიბდა ქართულში. მხარემაც ქართული ფორმით მიიღო სახელწოდება „ოსეთი". ამგვარად გადავიდა რუსულშიც – осетия XIII საუკუნის წყაროებში ალანები ქრისტიანებად (ბერძნული ქრისტიანობის წარმომადგენლებად) მოიხსენებიან (ვ. ბარტოლდი). Места их (ალანების – რ.მ.) поселения простирались в ту пору много дальше на восток, чем более в ранние

> **2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოსდა 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინარობასთან. აღვნიშნავთ, რომ იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი" არ არსებობდა. ცხადია, არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ.**



ერედვი, წმინდა ელიას ეკლესია

времена; К моменту первого вторжения монголов область, начинающаяся непосредственно за Дербентом на север, и даже в устье Волги находились во владении аланов, что по-видимому, следует рассматривать, как последние падения хазарского царства. Разбитые и покоренные монголами аланы были частично переселены в различные области монгольской империи; колония аланов – христиан упоминается католическими миссионерами в Китае" (В. В. Бартольд, Аланы, соч. т. II, ч.I, М. 1963. გვ. 866). ჩვენ სრულიად შეგნებულად მოვიტანეთ ვრცელი ამონარიდი საყოველთაოდ აღიარებული დიდი მეცნიერის, აკადემიკოს ვ. ბარტოლდის სტატიიდან „ალანები", რომ ნათლად დავანახოთ მკითხველს ალანთა განსახლების არეალი; ხაზი გავუსვათ, რომ ალანებს არასდროს უცხოვრიათ სამხრეთ კავკასიაში. თვით ოსებად წოდებულნი კი მხოლოდ XVII საუკუნეში ჩნდებიან ჩვენს მიწაზე (საერთოდ, როგორც დასტურდება ისინი არ წარმოადგენენ კავკასიის აბორიგენულ მოსახლეობას, ჩრდილოეთ კავკასიაშიც ამ ოცი საუკუნის წინათ არიან ჩამოსახლებული). ალანებთან დაკავშირებით ჩვენ ძირითადად აღმოსავლური წყაროების (იაკუთი, აბულ-ფიდა, ალ-ბირუნი) დავეყრდენით და საგანგებოდ არაქართველ (!) მეცნიერთა (ი. მარკვარტი, ვ. ბარტოლდი) კვლევების შედეგად მიღებული დასკვნები ვაჩვენეთ. ფაქტი ნათელია – ალანად სახელდებულ ხალხს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში – ცხინვალის რეგიონში არ უცხოვრია.

**ამდენად, აბსურდული ვითარებაა, როცა ჩრდილო ოსეთის მიბაძვით ცხინვალის რეგიონისათვის ალანიის დარქმევა უნდათ; კიდევ უფრო დიდი მკრეხელობაა ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებაზე ფიქრიც კი. ამის შესახებ ქვემოთაც მოგახსენებთ.**

გაკვირვება გამოიწვია ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის მიერ გამოთქმულმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი (ერთიანი ოსეთი), რომ ი. სტალინმა ოსეთი გაყო და სამხრეთი ოსეთი საქართველოს გადასცა, სადაც ავტონომიური ოლქი შეიქმნა; ჩვენ ვერ მოვთხოვთ პოლიტიკოსს კავკასიის ისტორიის უზადო ცოდნას, მაგრამ ისინი კი ვინც ამგვარი ინფორმაცია მიაწოდათ, შორს არიან ჭეშმარიტებისგან. ამგვარი განცხადების გაკეთებას მეტი დაფიქრება სჭირდება; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფაქტების გადამოწმებაა საჭირო. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში რუსეთ-ოსეთის ისტორიის ბევრი ფაქტის გაყალბება ხდება (იხ. ან. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 წ.).

საკმარისია გავეცნოთ ოსი ისტორიკოსის, პროფესორ გ. თოგოშვილის გამოკვლევებს, მის სტატიებს ქართულ ენციკლოპედიაში, განსაკუთრებით სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ", თავი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამხრეთი ოსეთი" (1981 წ., გვ. 337-339), რომ რეალურად წარმოვიდგინოთ სამხრეთ ოსეთის ისტორია. ამ თვალთახედვით საინტერესოა, ვ. აბაევის, ბ. ფლიევის, ო. თედეევას, ზ. გაგლოითის, პ. დოგუზოვისა და სხვ. ნაშრომები. აი, რას წერს ოსური მეცნიერების პატრიარქი ვასილ აბაევი: „Главный Кавказский хребет – естественная граница между Грузией и Осетией, а всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состсяние перманентного конфликта между грузинами и осетинами... надо прежде всего покончить с разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право, потому что это будет означать нарушение территориальной целостности Грузии.

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность („Независимая газета", 1982 г., 22, 1, №13). აი, ჭეშმარიტი ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია. სამწუხაროა, რომ ამგვარი სიბრძნე არც ოსმა და არც რუსმა ფუნქციონერებმა არ გაითვალისწინეს. ალბათ, წინ მძიმე შედეგს უნდა ველოდეთ.

ბოლო პერიოდში რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება აბსურდული მტკიცება – თითქოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთს შეუერთდა არა ისტორიული ოსეთის ერთი ნაწილი, არამედ მთელი ოსეთი. აქ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოსდა 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინარობასთან. აღვნიშნავთ, რომ იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი" არ არსებობდა. ცხადია, არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ჩინოვნიკები ცდილობენ, დაამკვიდრონ ხელოვნური ტერმინები „ჩრდილოეთი ოსეთი" და „სამხრეთი ოსეთი". XIX საუკუნემდე კი არავითარი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა. რეალურად 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები. მეოთხე თემი – დიგორი ყაბარდოს გამგებლობაში იყო და რუსეთს 1781 წელს შეუერთდა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლისა და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული მასალები საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია დვალეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა (ერთხანს (XVII საუკუნე) გიორგი სააკაძე იყო დვალეთის მოურავი). რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთითურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. **1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით დვალეთი „კავკასიის ლინიის" ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთს მიუერთეს მხოლოდ დვალეთი და არა შიდა ქართლის ის მიწა, სადაც შემდგომში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ (ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაც დაანგრია) დვალეთი კვლავ საქართველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი – იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად, სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი – დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შეერთება და ყოველგვარად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყებების ინსპირირება მოახერხა. მათი მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში" საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსგან ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება. შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჩაიგდებდნენ ხელთ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ე.წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. Организовать ревком в Южной Осетии... 2. Обьявить Советскую власть... 3. Немедленно сформировать вооруженный




отряд. 4, Войти в связь с северной Осетией... в распоряжении Ревкома отпустить 100 тысяч рублей) (сто тысяч рублей‘. არის ასეთი მიმართვაც: „Москва, ЦЛ РКП (Б), товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого комитета от 23 марта, подтвержденному особыми Курьерами того же Комитета... 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть“.

არსებობს სხვა მასალები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ ვისი კარნახით გააჩაღეს ოსებმა ძმათამკვლელი ბრძოლა. **ამდენად საქართველოს ე.წ. „ნაციონალ-შოვინისტური“ მთავრობის დადანაშაულება ოსი ხალხის „გენოციდში“, რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.**

**ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მზაკვრული გეგმა – 1921 წლის თებერვალში საქართველო გასაბჭოვდა, რაც, ფაქტობრივად, ანექსიის (უკვე მეორედ) ტოლფასი იყო. ამით საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილი). რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს – ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისი) მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე.წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და ხელოვნურად მიმატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „Кавказский календарь“ –ის მიხედვით XX საუკუნის დადგომისას ცხინვალში ცხოვრობდნენ ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები) და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მასალები იხ. წიგნში: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 56-73). ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად აქცია, რაც თავის მხრივ ადამიანის და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.**

აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ოსებს საქართველოს შემადგენლობაში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 1990-91 წლებში საქართველოში 100 ზოგადსაგანმანათლებლო ოსური სკოლა იყო, აქედან 90 ე.წ. სამხრეთ ოსეთში იყო. აქ სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ საგნებად გადაიცემოდა ოსური ენა და ოსური ლიტერატურა. ცხინვალში ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, მუსიკალური, სამხატვრო სასწავლებლები; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ე.წ. სამხრეთი ოსეთი უმაღლეს განათლებამიღებულთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე იყო. 1927 წელს შეიქმნა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტად (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში). ცხინვალში მომზადდა და გამოიცა ოსეთის ისტორიის (დოკუმენტები და მასალები) მრავალტომეული, „სამხრეთ ოსეთის ისტორიის“ ორტომეული, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ოთხ ტომად, „ოსური ლიტერატურის ისტორიის“ მრავალტომეული, ოსური ზღაპრების სამტომეული, ოსური სიმღერების კრებული (ნოტებითურთ). აქ ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეა, საჯარო ბიბლიოთეკა; მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ეროვნული ანსამბლი. მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა რადიომაუწყებლობა. გამოიცემოდა გაზეთები, ჟურნალები, მხატვრული ლიტერატურა. 1988 წელს ავტონომიურ ოლქში ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან შედარებით ყოველ 10 ათას ოსი ეროვნების მოსახლეზე 5-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა, 3-ჯერ მეტი ტირაჟით. როგორც ვხედავთ, ოსებს საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი ყველანაირ საშუალებას აძლევდა ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

**რაც შეეხება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, იქ ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე ამონარიდს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის პუბლიკაციიდან:** „Мне всегда искреннее жаль молодых людей моей национальности, когда, несмотря на знание иностранных языков и мировой цивилизации, они чувствуют себя неуютно дома в силу незнания элементарных основ осетинской культуры... Национальную молодёжь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения“. (**გაზ. „ПРАВДА“ , 1989, 11-XI**).

აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

დღეს, როცა დანგრეულ და გადამწვარ ცხინვალის რეგიონის სოფლებს ვუყურებთ, როცა ჩვენს თვალწინ ათასობით საკუთარი საცხოვრისიდან აყრილ და საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეულ ათასობით ადამიანს ვხედავთ, როცა ტკივილებთან ერთად დამარცხებით გამოწვეულ შეურაცხყოფის გრძნობა არ გვტოვებს, რეალურად ვაცნობიერებთ შექმნილ ვითარებას.

გვიხდება კონსტატირება სამწუხარო ფაქტის, რომ XXI საუკუნეში, ამ ე.წ. იმედის საუკუნეში, ადამიანი ისეთივე ხარბია და ბოროტი, როგორიც წინა საუკუნეებში იყო. ძალმომრეობას კვლავ ფართო გზა აქვს.

**მიგვაჩნია, რომ მსოფლიო საერთაშორისო საზოგადოებამ ხმა უნდა აიმაღლოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი განზრახულობის წინააღმდეგ. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ცხინვალის რეგიონი ჭეშმარიტი საქართველოა და ის ალანია არ არის.**



**როინ მეტრეველი,**

**აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი**

# მთავრობამ ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი მოიწონა

ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველომ აიღო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულება. ერთ-ერთი პირველი ამ მიმართულებით არის ქვეყანაში სწორი გარემოსდაცვითი მმართველობის ჩამოყალიბებისათვის გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის სრულყოფა. ამ მიმართულებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით, შეიმუშავა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომელიც უახლოეს პერიოდში გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

კოდექსის პროექტი სრულიად ახლებურად არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხებს. კერძოდ:

მოხდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების გაზრდა და განხორციელდა მათი რანჟირება მასშტაბებისა და ზემოქმედების ხარისხის მიხედვით.

**დაინერგა სკრინინგის პროცედურა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქმიანობის განმახორციელებელს, დაზოგოს ფინანსური რესურსი და დრო, იმისათვის, რომ წინასწარ არ მოამზადოს გზშ-ს სრული ანგარიში ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც შესაძლოა, საერთოდ არ დაექვემდებაროს გზშ-ს. სკოპინგის პროცედურით კი საქმიანობის განმახორციელებელს მიეცემა შესაძლებლობა დაგეგმოს ბიუჯეტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად და არ გაიღოს ზედმეტი ხარჯები ისეთი კვლევების ჩასატარებლად, რომელიც არ არის აუცილებელი გზშ-ს მოსამზადებლად.**

**გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელმაც ჩაანაცვლა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, გამოეყო მშენებლობის ნებართვას, თუმცა ამავდროულად საქმიანობის განმახორციელებელს მიენიჭა უფლება პარალელურ რეჟიმში გაიაროს მშენებლობის ნებართვის პროცედურები.**

**კოდექსს შემოაქვს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სიტემა, იმისათვის, რომ სხვადასხვა სექტორების დაგეგმარების პროცესი მიმდინარეობდეს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ასპექტების გათვალისწინებით.**

**კოდექსი ითვალისწინებს სრულიად ახალი, გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის შემოღებას.**

**სრულიად ახლებური მიდგომები ყალიბდება საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ერთ-ერთი მთავარი სიახლე არის სწორედ ის, რომ საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინფორმირება და საჯარო განხილვის ორგანიზება იქნება არა საქმიანობის განმახორციელებლის, არამედ, სახელმწიფოს, კერძოდ, სამინისტროს ვალდებულება. ამით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უფრო ეფექტიანი მონაწილეობა და ამასთან, საქმიანობის განმახორციელებლები გათავისუფლდებიან ამ ტვირთისგან.**

**კოდექსი სრულად ჰარმონიზებულია ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან, აგრეთვე მაქსიმალურად არის მორგებული ქვეყნის საკანონმდებლო სივრცესა და რეალობას.**



# რას ვერ ეგუება პრემიერი საზოგადოებრივ მაუწყებელზე?

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინიტრ გიორგი კვირიკაშვილი საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს გამოეხმაურა და აღნიშნა რომ, როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების ინტერესია, ქვეყანაში არსებობდეს წარმატებული და თანამედროვე საზოგადოებრივი მაუწყებელი.

**„ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია, საქართველოში არსებობდეს ყველაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, დამოუკიდებელი და საინტერესო საზოგადოებრივი მაუწყებელი. დღეს ჩვენ ათეულობით მილიონ ლარს ვიხდით ამ პროდუქტში და ვერ შევეგუებით, რომ ამ თანხის შედეგად მივიღოთ პროდუქტი, რომელიც არ იქნება თანამედროვე და საინტერესო. ასევე გვინდა, რომ ეს იყოს მართლაც ჭეშმარიტად საზოგადოების ინტერესების გამომხატველი ტელევიზია. ამიტომ, ჩვენ მივესალმებით საზოგადოებრივ მაუწყებელში დაწყებულ პროცესს, მივესალმებით პოლემიკას, მივესალმებით მაქსიმალურ ჩართულობას, იმისთვის, რომ იყოს სხვადასხვა მიდგომების ჭიდილი. გვაქვს იმედი, რომ პროცესები წარიმართება ცივილურად და მივიღებთ ისეთ ტელევიზიას, როგორსაც იმსახურებს თითოეული ჩვენი მოქალაქე, რომელიც საკუთარი ჯიბიდან იხდის საფასურს,“** – განაცხადა პრემიერმა.

# რუსული მხარე ადასტურებს მზაობას, ტვირთების კონტროლის შესახებ შეთანხმების დასაწყებად

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძემ კარასინთან გამართული შეხვედრის შესახებ დამატებითი განმარტებები გააკეთა. მან რუსეთ-საქართველოს შორის ტვირთების კონტროლის შესახებ დადებულ შეთანხმებაზე და მისი ამოქმედების ვადებზე ისაუბრა.

**„ქართულმა მხარემ გასული წლის გაზაფხულზე დაასრულა მუშაობა შესაბამის დოკუმენტებზე. რუსულ მხარეს რამდენიმე საკითხი ჯერა არ აქვს გარკვეული და საბოლოოდ არ არიან ამაზე ჩამოყალიბებული. ჩვენ მივიღეთ პასუხი, რომ ისინი პრინციპულად მზად არიან, ადასტურებენ მზაობას ხელშეკრულების დასაწყებად. ველით, რომ შვეიცარიელ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ ის გაურკვევლობები რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით საბოლოოდ მოგვარდება. მე მაქვს ასეთი განცდა, რომ ფინალს ვუახლოვდებით,“** – განაცხადა აბაშიძემ.

# ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი ინიციატივა სტუდენტებისთვის

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „საერთაშორისო ურთიერთობების კლუბის“ და „მომავალ საჯარო მოხელეთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია გამართეს. ეს ინიციატივა მოიცავს ახალგაზრდების მომზადებას მომავლის საქართველოსთვის.**




პროექტის ავტორების განცხადებით, ამ ინიციატივით მხოლოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები არ არიან დაინტერესებულნი და მალე მათ გუნდს სხვა უნივერსიტეტის სტუდენტები შეავსებენ.

**გურანდა გოლიაძე, „საერთაშორისო ურთიერთობების კლუბის პრეზიდენტი“:** — კლუბი სტუდენტებმა ორი თვის წინათ ჩამოვაყალიბეთ, სადაც ამ ეტაპზე 30 სტუდენტია გაერთიანებული, ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები და მხოლოდ სტუ-ს სტუდენტები, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მალე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტები არ შემოგვიერთდებიან. კლუბის კარი ყველასთვის ღიაა, ვისაც საერთაშორისო ურთიერთობები აინტერესებთ. ჩვენი მიზანია ამ სფეროთი დაინტერესებული ადამინებისთვის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მიღების ხელშეწყობა, ამისათვის ვაწყობთ დებატებს, დისკუსიებს, საჯარო შეხვედრებს დიპლომატებთან, იმ ადამიანებთან, რომელთაც აქვთ გამოცდილება. გვაქვს იდეა, მოვაწყოთ დიპლომატიური კვირეულები. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „მომავლის საჯარო მოხელეთა ასოციაციას“ და „საერთაშორისო ურთიერთობების კლუბს“ დიდ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ეს წარმატების ერთგვარი გარანტიაა.

**გიორგი მამულაშვილი, „მომავლის საჯარო მოხელეთა ასოციაციის“, დამფუძნებელი:** — ჩვენი ასოციაციის დაარსების მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს იმ სტუდენტებს, რომელთაც საჯარო სამსახურში მოღვაწეობა აქვთ დაგეგმილი, ამისათვის ჩვენ მათ ხელს ვუწყობთ, სტაჟირება გაიარონ სახელმწიფო სხვადასხვა უწყებაში, ასევე მოხდება შიდა საუნივერსიტეტო სტაჟირება სტუ-ს დეპარტამენტებში. მინდა გითხრათ, რომ ამის რეალური რესურსი არის. იმისათვის, რომ უფრო საინტერესო გავხადოთ ჩვენი ინიციატივა, იგეგმება წარმატებულ საჯარო მოხელეებთან სტუდენტების შეხვედრები, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ამ ეტაპზე წარმატებით დავასრულეთ გერმანულ მხარესთან მოლაპარაკება და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

## დევნილთა დახმარება გრძელდება

საქართველოს მთავრობამ დევნილთა მიმართ 2017-18 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. სოზარ სუბარის განმარტებით, გეგმა უმთავრესად ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი სახლებით დაკმაყოფილებას და დახმარებას, რათა მათ გაუჩნდეთ საკუთარი შემოსავლები.

**„მიმდინარე და მომავალ წელს დაგეგმილია მინიმუმ 4 000 საცხოვრებელი ბინის გადაცემა. ამაში იგულისხმება როგორც სოფლის სახლი, ახლადმშენებარე ბინები, ისე იპოთეკარებისთვის დახმარება. იმ რეფორმის გატარების შემთხვევაში, რომელსაც ჩვენ ვაპირებთ, ეს ციფრი 2 წელიწადში შეიძლება გასამმაგდეს და გაოთხმაგდეს კიდეც. ერთადერთი მიმართულება, რაშიც დაფინანსებას ვამცირებთ, ეს არის რეაბილიტაციები დევნილთა საცხოვრებლებისთვის, ძველი სახლების იმიტომ, რომ როგორც წესი, რეაბილიტაცია იმდენივე ჯდება, რაც ახალი საცხოვრებლის მშენებლობა, ხოლო შედეგი ვერასდროს ვერ არის ის, რაც ახალი კორპუსი“, —** განაცხადა სუბარმა. როგორც ცნობილია, სამინისტროში დაგეგმილი რეფორმის თანახმად, დაგეგმილია დევნილთა 45-ლარიანი დახმარების შეწყვეტა გარკვეულ კატეგორიებზე.

## „სტარტაპ საქართველო“ 2017 წელსაც განხორციელდება

ტექნოპარკში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ კასრაძე პროექტ „სტარტაპ საქართველოს“ პირველი ნაკადის, მაღალტექნოლოგიური მიმართულების, ფინალისტ და გამარჯვებულ გუნდებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო სტარტაპებს შორის გამოცდილების გაზიარება, საერთო გამოწვევებსა და წარმატების შესახებ საუბარი. შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს პროექტის დახვეწის და პროგრამის მეორე ეტაპის უფრო წარმატებით განხორციელების გზებზე.

**„სტარტაპ საქართველოს“ ინიცირება საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში მოხდა. პროექტი განახორციელა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ და საპარტნიორო ფონდმა. მიღებული განაცხადები განაწილდა ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური ბიზნესის მიხედვით და შეფასდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ.**

პროექტის ფარგლებში შეირჩა 51 ფინალისტი, რომელთაგან 100 000 ლარიანი დაფინანსება 20-მა სტარტაპმა მოიპოვა შემდეგი მიმართულებებით: ფინანსური ტექნოლოგიები, ტურიზმი, აგროკულტურა, ჯანდაცვა, ხელოვნური ინტელექტი, კომპიუტერული თამაშები, რეკლამა, ვირტუალური რეალობა. ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური ბიზნესიდეების გამარჯვებულების რაოდენობა ჯამში 65 -ს შეადგენს.



პროგრამის განხორციელების პირველ ეტაპზე სახელმწიფომ 11 მილიონი ლარი გამოყო, რომლითაც ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სტარტაპები დაფინანსდება. სამომავლოდ, მეტი სტარტაპის დაფინანსების მიზნით, პროგრამის ბიუჯეტი შესაძლოა, 35 მილიონ ლარამდე გაიზარდოს. პროგრამას „სტარტაპ საქართველო“ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო 2017 წელსაც განახორციელებს.

## პროექტების ფინანსური მხარდაჭერა ეროვნულ ვალუტაში

**შეღავათიანი აგროკრედიტისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტების ფარგლებში ცვლილებები განხორციელდა. მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შეღავათიანი აგროკრედიტი მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაიცემა.**

აღნიშნული ცვლილებები თანხვედრაშია ქვეყნის ლარიზაციის სახელმწიფო გეგმასთან და სესხების ლარში აღების სტიმულირებას ახდენს; სავალუტო რისკების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია ბენეფიციარებისთვის გრძელვადიანი სესხები ეროვნულ ვალუტაში გაიცეს.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში განხორციელებულ ცვლილებებამდე, ძირითადი საშუალებების კომპონენტში სესხის მაქსიმალური ვადა განსაზღვრული იყო 7 წლით. ცვლილებების თანახმად, სესხის ვადის შეზღუდვა მოიხსნა. სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების პერიოდი განისაზღვრა პირველი ტრანშის გაცემიდან 66 თვის ვადით.

ბენეფიციარებს შესაძლებლობა მიეცათ, ისარგებლონ როგორც ფიქსირებული, ისე მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებით და გააკეთონ მათთვის ოპტიმალური არჩევანი. სოფლის მეურნეობების გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ახალი რედაქციის თანახმად, პროექტის ფარგლებში განსაზღვრული თანადაფინანსებაც გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. დამატებით, პროექტის ფარგლებში, შესაძლებელი გახდა კაკლოვანი კულტურების შემნახველი საწარმოების დაფინანსება.

## ებრაელი ვიზიტორები აჭარით დაინტერესდნენ

**თელავივის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე ებრაელი ვიზიტორები აჭარით დაინტერესდნენ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტულ პროდუქტებს რეკლამირება თელავივის 22-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „IMTM 2017“ გაუწია.**

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტურისტულ გამოფენაზე ვიზიტორები აჭარაში მოგზაურობითა და რეგიონის ტურისტული შესაძლებლობებით დაინტერესდნენ. მათი უმრავლესობა საქართველოს სტენდთან ყურადღებას ეკოტურისტულ, გასტრონომიულ და სამთო ტურისტულ მარშრუტებზე ამახვილებდა. აჭარის მიმართ დიდია ინტერესი ავიაკომპანიების მხრიდანაც. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენელი გამოფენის ფარგლებში შეხვდა კიდეც რამდენიმე მსხვილი ავიაკომპანიის წარმომადგენელს. თელავივის 22-ე საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე დეპარტამენტი საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად მონაწილეობდა.



## ნაცვლად ორისა, გვექნება სამი გასაღები!



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომრე ეკა ბესელია განმარტავს, რომ ე.წ. ფარული მოსმენის გასაღები ნაცვლად ორისა, იქნება სამი. მისი თქმით, საკანონმდებლო ცვლილებაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გათვალისწინებულია, რადგან ითქვა, რომ არ უნდა ჰქოდეს ე.წ. გასაღები იმ ორგანოს, ვინც საგამოძიებო ფუნქციის მატარებელია.

**„ეს გასაღები არ ექნება ორგანოს, რომელიც გამოძიებას ატარებს. გასაღები ექნება ახალ სააგენტოს. ის ყალიბდება სსიპ-ის სახით და იქნება უსაფრთხოების სამსახურთან, მაგრამ ამ ორგანოს არ ექნება არავითარი სხვა ფუნქცია, მათ შორის არც საგამოძიებო. მხოლოდ და მხოლოდ ის განახორციელებს მოსამართლის დავალებით გაცემულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. ის იქნება სუს-თან არსებული სსიპ-ი, მაგრამ არასაგამოძიებო ფუნქციის. მას მხოლოდ ტექნიკური სერვისის განხორციელება ევალება. ეს სააგენტო მოემსახურება ყველა უწყებას, ვისაც კი სასამართლოს ბრძანებით ექნება დავალება გაცემული, რომ განახორციელოს სხვადასხვა ტიპის ფარული მოქმედებები. ამავე დროს ამ სააგენტოს ექნება ცალკე ბიუჯეტი. სააგენტოს უფროსს აირჩევს სპეციალური კომისია და დანიშნავს პრემიერ-მინისტრი, რაც დამოუკიდებლობის ხარისხს ზრდის. ასევე შემოგვაქვს ხუთი დონის კონტროლი. ეს არის სასამართლო კონტროლი, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის კონტროლი, საპარლამენტო კონტროლი და მას დაემატება აუდიტის კონტორილი. ამ რეფორმით კიდევ ერთი სიახლე შემოდის. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში, კონტროლის თვალსაზრისით უზენაესი სასამართლოს ერთ მოსამართლეს ექნება ერთი ე.წ. გასაღები — ის გასაღები, რომლითაც გაკონტროლდება, რამდენად კანონიერად მიმდინარეობს კონტრდაზვერვითი საქმიანობა. ნაცვლად ორი გასაღებისა გვექნება სამი გასაღები“, —** განაცხადა ეკა ბესელიამ.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების განხილვა პარლამენტში დღეიდან იწყება.

# მოსკოვი თვითონ უბიძგებს ქართველებს, რომ მზერა დასავლეთს მიაპყრონ

**საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების თემას რუსული გამოცემა „როსბალტი" ჟურნალისტ ანდრეი ნიკოლაევის სტატიით ეხმაურება.**

ქართველებს ნატვრა აუხდათ: ევროპარლამენტმა, როგორც იქნა, საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაცია დაამტკიცა. მართალია, „შეჩერების მექანიზმთან" ერთად, მაგრამ მაინც. ევროკავშირი საქართველოსაგან მადლობებს ღებულობს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ უკრაინას გაასწრო: კიევი ჯერ მხოლოდ „უვიზო რეჟიმზე" ოცნებობს, საქართველომ კი უკვე მიიღო. ხუმრობით თუ ვიტყვით, ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, იჩქარა, „უკრაინელი" რომ გახდა...

დღეს ქართველი პოლიტიკოსები თანამემამულეებს განუმარტავენ, რომ უვიზო რეჟიმის დაწესება ევროპასთან დაახლოებისაკენ გადადგმული გიგანტური ნაბიჯია, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს „მეტ კეთილდღეობას, მეტ დემოკრატიას, მეტ ენერგიას და ენთუზიაზმს ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის". საქართველოს მთავრობას განსაკუთრებით უხარია, რომ უვიზო რეჟიმით „ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი და ოსი ძმებიც ისარგებლებენ და ევროპულ სიკეთეს გაიზიარებენ", თუმცა ქართველ ჩინოვნიკებს „ავიწყდებათ" იმის თქმა, რომ „ოკუპირებულ ტერიტორიებზე" მცხოვრებთ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ბიომეტრიული პასპორტები უნდა ჰქონდეთ. ამგვარი პასპორტების მფლობელები კი ძალიან ცოტაა და ვისაც აქვს, ცდილობენ, რომ მაინცდამაინც თავი არ გამოიჩინონ.

სოხუმმა და ცხინვალმა „ქართულ სატყუარაზე" შესაბამისი რეაგირება უკვე მოახდინეს: კერძოდ, აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება. „თბილისმა გადაწყვიტა აფხაზეთის მოსახლეობა სატყუარათი მოხიბლოს, მაგრამ მისი მცდელობა ჩასაფუშად არის განწირული". თითქმის იგივე რეაგირება მოახდინა სამხრეთ ოსეთმაც.

ვიზალიბერალიზებასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა ჩნდება: მართლაც მოუტანს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებს რეალურ პოზიტივს? მართლაც მოახდენს დადებით გავლენას აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან დაახლოებაზე? და ყველაზე მთავარი — რატომ აცხადებს რუსეთი უმაღლეს დონეზე იმას, რომ ერთი მხრივ, ქართველებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებისთვის დაბრკოლება არ არსებობსო და, მეორე მხრივ, ვიზებს არ აუქმებს? ამით ხომ თვითონ მოსკოვი უბიძგებს ქართველებს ევროპისაკენ, რომ მათ „ერთმორწმუნე" ქვეყნის ნაცვლად, მზერა დასავლეთს მიაპყრონ?

**დავიწყოთ ბოლო კითხვიდან: რუსეთის ხელისუფლება ძალიან არის დაინტერესებული თავისი გავლენის გაძლიერებით სამხრეთ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, რომელსაც მოსკოვი პროდასავლურ ქვეყნად მიიჩნევს. მაგრამ გავლენის გავრცელება ქართველ საზოგადოებაზე იმ მილიტარისტული მოქმედებით ნამდვილად ვერ მოხერხდება, რასაც რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ახორციელებს. ასეთი ქმედების შედეგად პირიქით ხდება — ქართველებს რუსეთი ეჯავრებათ. ამასთან, მათთვის ძალიან მისაღებია რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა, სატრანსპორტო მიმოსვლა. ყველაზე მეტად კი, კულტურული, მეგობრული და ნათესაური კავშირების გათვალისწინებით, საქართველოში არსებული ტოტალური უმუშევრობის გათვალისწინებით, ქართველებს ყველაზე უფრო მეტად სავიზო რეჟიმის გაუქმება სურთ. თუ სავიზო რეჟიმი გაუქმდება, მაშინ რუსულ კულტურას და სამეცნიერო მიღწევებს, საგანმანათლებლო სისტემას მეტი ქართველი ეზიარება.**

მაგრამ მოსკოვი, რომელსაც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გამო ქართველების დასჯა სურს, სავიზო რეჟიმს მაინც არ აუქმებს და ამით სამხრეთკავკასიური მეზობელი ქვეყნის მოსახლეობას ევროპისაკენ უბიძგებს. რასაკვირველია, გასაგებია, რომ ყველა ქართველი ვერ გაიქცევა რომისა და პარიზის სილამაზით დასატკბობად, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ვისაც ფული აქვს და ევროპაში მოგზაურობა სურს, ისინი ყოველთვის დადიოდნენ და მომავალშიც ივლიან. რიგითი და პირდაპირ ვთქვათ — ღარიბი ქართველებისთვის ევროპა უფრო სამუშაოს შესაძლებლობითაა მიმზიდველი, გინდაც ეს „შავი" სამუშაო იყოს, დროებითი და არალეგალური. აი, მათ რომ რუსეთში წასვლის შესაძლებლობა ჰქონდეთ, ისინი უმეტესად ევროპისკენ აღარ გაიხედავდნენ... ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს კულტურული, ისტორიული, რელიგიური ფაქტორები, ენობრივი ბარიერის არარსებობა. ახლა ისე გამოდის, რომ ევროპამ რუსეთს აჯობა, რაც პოლიტიკურ წაგებასაც ნიშნავს. მომგებიანი კი ის იქნებოდა, რომ „შენგენის" უვიზო რეჟიმის კვალდაკვალ ვიზებს რუსეთიც თუ გააუქმებდა... თუმცა არაა გამორიცხული, რომ ბოლოს და ბოლოს, რუსეთიც „გონს მოეგება", „თავში ხელს შემოირტყამს", მიხვდება, რომ ეს აუცილებელია და სიტუაციას ერთი ბრძანებით მოაგვარებს.

„rosbalt.ru"(რუსეთი)
მოგვაწოდა „ნიუპრესმა"



# საქართველოში დასვენება რუსეთში ძალიან მოდურად იქცა

**რუსული გამოცემა „კომსომოლსკაია პრავდა" რუსეთის მიერ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის შესაძლო გაუქმებას ჟურნალისტ დარია ტიუკოვას ვრცელ სტატიას უძღვნის.**

გრიგორი კარასინისა და ზურაბ აბაშიძის შეხვედრის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ შესაძლებელია საქართველოსთან უვიზო რეჟიმი დაბრუნდესო. ჩვენს მკითხველებს შევახსენებთ, რომ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში უვიზოდ წასვლა შეუძლიათ, საქართველოს მოქალაქეები კი იძულებული არიან რუსეთში წამოსასვლელად რიგი აუცილებელი დოკუმენტები გააფორმონ, რაც საკმაოდ დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს.

მაგრამ, როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცის" კორესპონდენტს ექსპერტმა განუმარტა, უვიზო რეჟიმის პირობებშიც კი საქართველოდან რუსეთში ტურისტების რაოდენობის ზრდას არ უნდა ველოდოთ.

ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთის მოქალაქეებს შორის თბილისი, ბათუმი და საქართველოს ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტები წარმოუდგენელი პოპულარობითა და მოდურობით სარგებლობენ. ისევე როგორც გასულ ათწლეულებში ტურისტთა ჯგუფები ერთმანეთს უზიარებდნენ ინფორმაციას — „რომელია ვენაში საუკეთესო კაფეო", დღეს უკვე ისინი საუბრობენ საუკეთესო ხინკალსა და აჭარულ ფხალზე ძველ თბილისში, ან სად შეიძლება იყიდო ნამდვილი ჩურჩხელა და როგორ უნდა ისარგებლო გოგირდის აბანოებით... მაგრამ როცა მოსკოველს თბილისში წასვლა იმავწუთს შეუძლია, ვთქვათ, შაბათ-კვირას, როგორც კი მოისურვებს, უცებ იყიდის ავიაბილეთს თბილისში დროის გასატარებლად (ან ავტომანქანით ხანგრძლივად მოგზაურობას გადაწყვეტს), ქართველები ამ შესაძლებლობას მოკლებული არიან.

ჯერ კიდევ 2016 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ არაა გამორიცხული უვიზო რეჟიმს დავუბრუნდეთო. როგორც ცნობილია, 1990-იან წლებში რუსეთს საქართველოსთან უვიზო რეჟიმი ჰქონდა, მაგრამ რუსეთის ტერიტორიაზე პანკისის ხეობიდან ტერორისტების შემოღწევის საფრთხის გამო, 2000 წლიდან, მოსკოვის ინიციატივით, სავიზო რეჟიმი დაწესდა. მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად აღიარების პასუხად, საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა, თუმცა, ამის მიუხედავად, რუსეთის მოქალაქეებს მაინც აქვთ საქართველოში უვიზოდ სიარულის შესაძლებლობა.

როგორც დსთ-ის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმირ ჟარიხინი ამბობს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთი ქართველებისთვის სავიზო რეჟიმს გააუქმებს, საქართველოდან ტურისტების მოზღვავებას მაინც არ უნდა ველოდოთ: **„რასაკვირველია, ვიზების გაუქმების შესაძლებლობა ნამდვილად არის. თავის დროზე საქართველომ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო — დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებში რუსეთთან სავიზო რეჟიმი გააუქმა. მოსკოვი ჯერჯერობით უფრო კონსერვატიული პოზიციების ერთგულია — არავითარი უვიზო რეჟიმი, სანამ დიპურთიერთობა არ აღდგება. თავის მხრივ ქართველები აცხადებენ: „სანამ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად აღიარების აქტს არ გააუქმებს, მანამ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არ მოხდებაო. შესაძლოა, ღირს, რომ ჩვენც გავრისკოთ და ამ ავანტიურაზე (ვიზების გაუქმებაზე) წავიდეთ? რუსეთსა და საქართველოს შორის ხომ ურთიერთობის ისტორიული ტრადიციები აკავშირებთ... მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიზები გინდაც რომ გაუქმდეს, ქართველები მასობრივად ვერ შეძლებენ ისეთი „უიკ-ენდების" გატარებას მოსკოვში, როგორსაც რუსები თბილისში აწყობენ. მიზეზი იმაში გამოიხატება, რომ რუსეთისა და საქართველოს მოქალაქეთა მატერიალური მდგომარეობა ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება, ანუ ქართველების უმრავლესობას მოგზაურობა ძვირი უჯდება. ასე რომ, ტურისტული ნაკადის გათანასწორებას არ უნდა ველოდოთ. ისინი სოჭშიც კი ვერ ჩამოვლენ, თუმცა რაში ჭირდებათ, სოჭი, როცა თავიანთი ბათუმი აქვთ? რაც შეეხება „ქართველების" ბიზნესს, რომელიც დღეს მოსკოვში ვითარდება, ეს ბიზნესი რუსეთის მოქალაქეებისაა — წარმოშობით ქართველების, მაგრამ რუსეთის მოქალაქეების. ასე რომ, უვიზო რეჟიმის შემთხვევაში არც ეკონომიკური სარგებლის მოლოდინი არ უნდა გვქონდეს".**

„mk.ru"(რუსეთი)
მოგვაწოდა „ნიუპრესმა"

## ავღანეთში წითელი ჯვრის თანამშრომლები მოკლეს

**წითელი ჯვარი ავღანეთში საქმიანობას დროებით წყვეტს. ამის მიზეზი ქვეყნის ჩრდილოეთით, ჯაუზჯანის პროვინციაში ორგანიზაციის 6 თანამშრომლის მკვლელობა გახდა. ჰუმანიტარული მისის თანამშრომლებს, რომლებსაც დიდთოვლობისა და მეწყრისგან დაზარალებულ რეგიონში სურსათი მიჰქონდათ, თავს შეიარაღებული პირები დაესხნენ. ადგილობრივი ხელისუფლება მომხდარზე პასუხისმგებლობას „ჰორასანის ვილაიათის" მებრძოლებს აკისრებს.**



## არქტიკას ნაპრალი გაუჩნდა

**არქტიკულ კვლევით ცენტრს ყინულოვან კონტინენტზე გაჩენილი ორი ნაპრალის გამო ადგილი შეუცვალეს. ის ძველი ლოკაციიდან 23 კილომეტრში გადაიტანეს. ოპერაცია ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში დაიწყო და ახლახან დასრულდა. მეცნიერების თქმით, ნაპრალების გამო არსებობს საშიშროება, რომ ყინულოვან კონტინენტს გიგანტური აისბერგი მოწყდეს. არქტიკული კვლევითი ცენტრი მუშაობას 2017 წლის ნოემბერში გააახლებს.**



## ტრამპი ქალიშვილს გამოესარჩლა

**დემოკრატები ტრამპს საკუთარი ქალიშვილის მხარდაჭერისთვის აკრიტიკებენ. კრიტიკის ობიექტი თეთრი სახლის ლიდერი სოციალურ ქსელ ტვიტერში გამოქვეყნებული პოსტის გამო გახდა. ტრამპმა ტანსაცმლისა და საიუველირო ნაწარმის რიტეილერი „ნორდსტორმი" ივანკას მიმართ უსამართლო მოპყრობაში დაადანაშაულა. ამერიკულმა კომპანიამ ივანკა ტრამპის სადიზაინერო სახლის მიერ წარმოებული ხელჩანთებისა და ფეხსაცმლის გაყიდვაზე უარი თქვა.**

## ჩინეთში უცხოელებს თითის ანაბეჭდებს აუღებენ

**ჩინეთის ტერიტორიაზე შესასვლელად უცხოეთის მოქალაქეებმა თითის ანაბეჭდები უნდა ჩააბარონ. შესაბამისი გადაწყვეტილება ჩინეთის უშიშროების სამსახურმა მიიღო. ახალი რეგულაცია 10 თებერვლიდან ამოქმედდება. საწყის ეტაპზე თითის ანაბეჭდებს უცხოელებს შენჩჟენის საერთაშორისო აეროპორტში აუღებენ. წლის ბოლომდე კი პროცედურა ქვეყნის ყველა სასაზღვრო პუნქტზე იმოქმედებს.**

## ბრიტანეთის პარლამენტმა ბრექსიტს მხარი დაუჭირა

**3-დღიანი დებატების შემდეგ, ბრიტანეთის თემთა პალატამ ევროკავშირიდან გასვლის კანონპროექტი მიიღო. ბრექსიტის სასარგებლოდ ხმა 494- მა დეპუტატმა მისცა, წინააღმდეგ კი 122 გამოვიდა. წარმომადგენლობითი პალატის შემდეგ, კანონპროექტი ლორდთა პალატამ უნდა განიხილოს. ამის შემდეგ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტერეზა მეის ლისაბონის შეთანხმების 50 -ე პუნქტის ამოქმედების უფლება მიეცემა, რომელიც ევროკავშირიდან გასვლის პროცედურის დაწყებას ითვალისწინებს.**



# ქართული პურის ისტორია



## პურის გარეშე ნეტავ რა თქმულა...

საქართველო ხორბლეული კულტურების მოშენებისა და პურის ცხობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან, როგორც არსად, პური უმთავრეს საკვებ პროდუქტს წარმოადგენს. მან საუკუნეთა განმავლობაში საკულტო დატვირთვაც კი მიიღო. ქრისტიანული ტრადიციით პური და ღვინო ზიარებისას სიმბოლურად მაცხოვრის სისხლსა და ხორცს განასახიერებს. ამიტომაც, როგორც ქართულ ქვევრის ღვინოს აქვს მიკუთვნებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. მიმაჩნია, ასეთივე უნდა მიეკუთვნოს ქართულ პურს.

მემატიანე აღწერს საქართველოში პურისა და ბურღულეულის პროდუქტებისაგან სხვადასხვა ფაფისა და გამომცხვარი პურის ნაირსახეობის წარმოებას ქართველი კაცი ჯერ კიდევ მაშინ ფართოდ მოიხმარდა და დღემდე ტრადიციულ ისეთი სახის გამომცხვარ პურს, როგორიცაა ლავაში, შოთი, მესხური, კოლხური, ლაზური, „დედას პური“, კვერი და სხვა. მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც ტრადიციები და კუთხურობა გამოხატულია კვების პროდუქტების წარმოებაში. ქრისტიანულ სამყაროში ისეთი სახელწოდება, როგორც „ბეთლემია“, პურის სახლს ნიშნავს. საინტერესო პარალელებია საქართველოშიც, სადაც პური ოდითგანვე მოყავდათ. ცნობილია ქართული ენდემური ხორბლის ქიშები, რომელთა სამშობლოც საქართველოა, მადლიანი მიწა. ამას მეცნიერული კვლევები და არქეოლოგიური ფაქტები მეტყველებენ. იგი კულტურული მცენარეების ბიბლიოთეკად ითვლებოდა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, ქართველი კაცის შრომით შეიქმნა. ხორბლის ჯიში „დიკა“ იზრდებოდა და მოყავდათ როგორც მთაში, სვანეთში, ასევე ბარში, კახეთში. ასევე ენდემურია ცნობილი „შავფხა“, „დოლი“, „ზანდური“, „წითელი დოლი“, „ასლი“, „თავთუხი“, „ქონდარა ხორბალი“, მახობელა და ფეტვნაირი კულტურები: ღომი, ღომის ღომი, სელი, ფეტვი. ქართულ ტოპონიმიკაში გვხდება (თრიალეთში) „თორნის წყალი“. ეს ხომ სიწმინდის ნიშანია, რომელიც სოფელ ჯიგარაშენში ჩამოედინება. ცნობილია ქართული გამოთქმებიც „ქრისტეს პური“ „ქრისტეს წყალი“, საწესო პური, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ გვარებზე, რომელიც დაკავშირებულია პურის მოყვანასა და წარმოებასთან ხორბალაძე, ცომაია, ხაბაზაშვილი, დოლაბერიძე, დოლიძე, ხაბაზი და სხვა. ქართველი ადამიანი პურს ქვეყნისა და ოჯახის ძლიერების სიმბოლოდ თვლიდა და უძღვნიდა ლოცვას, მას მიიჩნევდა სიცოცხლის სიმბოლოდ. ქართულ „მრავალჟამიერში“ სწორედ პურის მადლს უმღერის ქართველი კაცი, ხოლო ყვარლელი პოეტი ნინიკა დურუჯელი შესანიშნავად ეფერება პურს:

პურია ჩვენი დედა და მამა,
პურის გარეშე ნეტავ რა თქმულა,
დედა ლხინის და დედა ტირილის,
პურ-ღვინო არის სიტყვა ქართულად.

დრომ შემოგვინახა და დღესაც შემორჩა შესანიშნავი წესები და ტრადიციები ხნულიდან დაწყებული პურის მოყვანა-გადამუშავებასა და პურის ცხობამდე. ამ წერილში სწორედ ეს საინტერესო საკითხები მინდა წარმოდგიდგინოთ. მიწის გუთნით დამუშავება-მოხვნა ხარებით, კამეჩით, ვირით, ცხენებით ხორციელდებოდა პირველი ხნულის გავლებას სოფლის უხუცესს ანდობდნენ, რომელიც ხარებს სანთელს (სამ სანთელს) გაუკეთებდა რქებზე, მოილოცებდა და ხარს, სანამ ხვნას შეუდგებოდა, შუბლზე კვერცხს მიახლიდა (კვერცხი ხომ სიცოცხლის სიმბოლოდ მოიაზრებოდა), გაიყვანდა პირველ ხნულს და ამით იწყებოდა ხვნა-თესვის სამუშაოები. საქართველოს ისტორიულად თავის სამყოფი ხორბალი მოჰყავდა. მოყვანილ ხორბალს „კალოზე“ კევრით ლეწავდნენ. ხორბალი იფქვებოდა წყლის წისქვილზე. ქვას, რომელსაც საფთქვავად იყენებდნენ, „დოლაბს“ ეძახდნენ, დროთა განმავლობაში ამ ქვას წმინდად რომ დაეფქვა, მოკოდვას უკეთებდნენ, ანუ ხორბლისთვის პირი რომ კარგად მოეკიდა. ასეთი სახით დაფქვილი ფქვილი ნატურალურია და შესანიშნავი სურნელი და გემო აქვს. ტყუილად კი არ უთქვამს ქართველ კაცს:

პური ქართლისა, ღვინო კახისა, ყველი თუშისა, ერბო ფშავისა.

დღეს საქართველოს სოფლებში წყლის წისქვილები შემორჩენილია, სადაც უმეტესად სიმინდი იფქვება, როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, იქ სადაც მდინარეები მოედინებოდა, წყლის არხებსა და საგუბარებს აწყობდნენ და ასევე აშენებდნენ წყლის წისქვილებს.

ქართული პურის ცომს გამოცხობის წინა დღეს ზელავდნენ. ფქვილში წყალსა და მარილს, აგრეთვე საფუვრად დამჟავებულ ცომს, ანდა სვიის ნაყენს ან მაწონს და მაწვნის დოს ან ქართული ფლორის (სხვადასხვა კუთხეში) დამამჟავებლებს ურევდნენ ცომის გასაფუებლად მოზელილ ცომს დოლბანდს გადააფარებდნენ სითბოსათვის, რათა გამოსაცხობად მომწიფებულიყო. მეორე დილით თონეს შეშით გაახურებდნენ. ნაცრის მილების შემდგომ მარილიან ნაჭერს ან მარილით გაჟღენთილ ფუნჯს გახურებულ თონეს, აგურებზე ან კერამიკაზე წაუსვამდნენ, იმდენს რამდენსაც შეიწოვდა, ამის შემდგომ დანაწილებულ ცომს ულუფებად სასურველ ფორმას აძლევდნენ, შოთი და ლავაში ნებისმიერი ფორმით, პური კი ვერტიკალურ მდგომარეობაში ცხვებოდა.

ქართული თონე წარმოადგენდა ბრტყელ აგურით ნაშენებ ან კერამიკულ გადაჭრილი ქვევრის ფორმის ზედაპირს, რომელიც მიწაზე შენდებოდა ან იდებოდა, იზოლაციისათვის, სითბო რომ შეენახა, წნელითა და თიხით გარედან ათბუნებდნენ. ენერგიის წყაროდ ძირითადად შეშას იყენებდნენ. შემდეგ დანაწევრებულ ცომს სასურველ ფორმას მისცემდნენ, ქორწილსა და მგზავრობისას შოთს ამზადებდნენ (ე.წ. დედას პურს), ჭირის სუფრაზე თხელ მრგვალ ლავაშს, მეომრებს პატარა შოთებს უმზადებდნენ ხურჯინში ჩასადებად, საერთოდ პურს აცხობდნენ კვირაში ერთხელ და ეს პური ინარჩუნებდა სირბილესა და გემოს. გამომცხვარ პურს ბელელში და სკივრში, ანდა ხონჩაზე ინახავდნენ.

საინტერესოა ქართული პურისა და ქართული ცხობის ისტორია საქართველოს კუთხეების მიხედვით, განსაკუთრებით ეს ისტორია, წეს-ჩვეულებები საშობაო რიტუალებიდანაა ცნობილი, გურიაში შობას (კალანდობას) მრავალწლობას უძახიან, სამეგრელოში ქრისტეს სალამოს, იმერეთში კორკოტობას, კახეთში ცხრაწვენას, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში ჭანტილობას. ეს დღეები უქმედ ითვლებოდა, განსაკუთრებით ქალებისათვის არ შეიძლებოდა კერვა, ქსოვა და სხვა ხელსაქმე.

კახეთში: როგორც ისტორიული წყაროები იუწყება, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (განსაკუთრებით შობის სუფრაზე) საუკეთესო ხორბლის ფქვილისგან ცხვებოდა ქადები, საშობაო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო პური და ღვინო, ქათამი, ინდაური, საკლავი ხორცი, თხილ-კაკალი.

ოდითგანვე ქართველები პურს არ აძველებდნენ და მისგან პურის გემრიელ ხარჩოს ამზადებდნენ (ხმელი პური, ხახვი, წყალი, კვერცხი ქონი ან ერბო, მარილი), მადის მოსამატებლად ყუათიანობისა და გემური თვისებების გასაუმჯობესებლად წყურვილის მოსაკლავად ოდითგანვე მიირთმევდნენ ღვინოში ამოვლებულ პურს „ბოღლიწოს“. ქართულ პურზე დანის მიკარება ითვლებოდა ცოდვად, მას ხელით ტეხავდნენ.

ლეჩხუმში აცხობდნენ სამ პატარა ჯვარდასმულ კვერს. ოჯახის უფროსი ქალი დალოცავდა ოჯახს და პირუტყვს, ჯამრთელობას უსურვებდა ოჯახის ყველა წევრს. გურიაში აცხობდნენ ღვეზელებს, რომელსაც საწესო პურს უწოდებდნენ. იგი ნახევარმთვარის ფორმის იყო, ცხვებოდა ხორბლის ფქვილისგან, შიგნით ურთავდნენ ყველსა და გამომშრალ კვერცხებს, რომელიც მთელი ან შუაზე გაჭრილი იდებოდა, ღვეზელი იმდენი ცხვებოდა, რამდენი წევრიც იყო ოჯახში.

იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში პურთან ერთად ჭადს, ელარჯს, ღომს მიირთმევდნენ. მესხეთში პირველი პური იყო თუთის ბაქმაზითა და დათლილი ნიგვზით.

საქართველოს მთიანეთში საშობაოდ სუფრისათვის აცხობდნენ ქადებს , მოხევეები ქადისათვის ზელდნენ საფუვრიან ტკბილ ცომს, რომელსაც კვერცხსა და ერბოს უმატებდნენ, ცომის ზელვა მთელი რიტუალი იყო — ქადის გული მზადდებოდა ერბოში მოხარშული ფქვილისაგან — სამცხე-ჯავახეთში აცხობდნენ ქადებს, ცომს კარაქს უსვამდნენ და რამდენჯერმე კეცავდნენ და აბრტყელებდნენ. ფშავსა და ხევსურეთში ლხინი არ არსებობდა ხინკლის გარეშე, იხარშებოდა ლუდი, იხდებოდა არაყი, ცხვებოდა კვერები (საკუთარი მოწეული ხორბლის ფქვილით). სვანეთში საშობაო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო კუბდარი, ფეტვრა, რომელსაც ყველთან ერთად ურევდნენ დაფქვილ კანაფს, ამზადებდნენ ჭვიშტარს. ტრადიციულად, სუფრაზე უნდა ყოფილიყო ხბოს და დეკეულის ბეჭი, ღორისაგან კი კუპატი და ზისხორა.

აჭარაში საშობაო სუფრაზე აუცილებლათ უნდა ყოფილიყო ფახლავა და აჩმა, ოთახის ოთხივე კუთხეში ბარაქისათვის მარცვალს ყრიდნენ და თან ილოცებოდნენ. სუფრაზე კი ხორბლით სავსე ჯამი იდგა.

ქართული პურის დამზადების თავისებურებაში ვლინდება კულტურული მემკვიდრეობის ღირებულება. პურის წარმოების ეროვნულ გამოცდილებაში წარმოდგენილია ეკოლოგიური სამკურნალო მხარეები, რელიგიურ-სოციალური ასპექტები. სწორედ ამით არის საინტერესო სვანური, კახური, კოლხური, ლაზური პურის დამზადების ტრადიციები, რომელიც მძივივით მოჰყვება ქართული პურის წარმოების მრავალფეროვნებას და რეცეპტებს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობაში დომინირებდა ხორბლის პურის მოხმარება, დასავლეთ საქართველოში — ღომი და მჭადი, აღმოსავლეთის მთაში — ქერისა და ჭვავის ნაზავი. მაგალითად, ხორბლისა და ფეტვის ნაზავ პურს მჭადპურას, ხოლო ქერისა და ხორბლის ნაზავ პურს — ქერჭრელას ეძახდნენ, ქერისა და ჭვავის ნარევს — ქერსვილას, ქერისა და ხორბალ დიკის ნარევს კერდიკას. ხორბალში იხმარებოდა სოლონჯი, რაც სურნელებას აძლევდა, ასევე მახობელას“, რომელიც არაჩვეულებრივ გემოს და ლურჯ ფერს აძლევდა პურს და გემრიელს ხდიდა პურს იმის გამო რომ მახობელა შეიცავდა ცხიმს, რომელიც ამ მცენარეშია.

საინტერესოდ აღწერს ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ქართლის მეფე ვახტანგ V-სთან სტუმრობას XV საუკუნეში, სადაც სუფრას აღწერს და პურის შესახებ ასე წერს: პური მოიტანეს სამნაირი — ერთი იყო თხელი როგორც ქაღალდი (ანუ სომხურ ლავაშს რომ ეძახიან დღეს, ეს თურმე ქართული ყოფილა და აი, დასტური) მეორე — თითის სიმსხო და პატარ-პატარა, აგრეთვე დაშაქრებული პურები, ანუ ალბათ ნაზუქი. შეგახსენებთ, თბილისში პურის მოედანი არსებობდა, ანუ ადგილი, სადაც თავმოყრილი იყო საცხობები, რომლებიც თბილისს აპურებდნენ (როგორც მემატიანე აღწერს მოედანზე თავმოყრილი იყო რამდენიმე საცხობი).

მე-19 საუკუნიდან დამკვიდრდა სიახლე — ერბოზელილი ნამცხვარი კექსი, ქიშმიშით.

გერმანელმა კოლონისტებმა, რომლებიც მე-19 საუკუნიდან გამოჩნდნენ თბილისში, შემოიტანეს ნიგვზიანი რულეტი, დარიჩინიანი თაფლა კვერები, ქართული ხილით დამზადებული სხვადასხვა ლიქიორები და ნაყენები.

დედაქალაქის გაზრდასთან ერთად ქართული პურის თონეები თბილისის თითქმის ყველა უბანში აშენდა, სადაც ძირითადად რაჭველი მცხობელები მუშაობდნენ. 1960 წლიდან დაიწყეს ამ კუსტარული თონეების დახურვა ამავე დროს ქართველმა ინჟინერმა და კონსტრუქტორმა, გამომგონებელმა რაჟდენ გამსახურდიამ შექმნა ქართული პურის კონვეიერული ღუმელი, რომელიც აღჭურვილი იყო აგურის აკვნებით და ვერტიკალურად მოძრაობდა ამძრავით, რომელზეც ეკრობოდა ლავაშის ტიპის პური. ნებისმიერი ფორმით ღუმლები მუშაობდა როგორც ბუნებრივი აირის სანთურებით, ასევე ელექტროენერგიით, თუმცა საკმაოდ ენერგოტევადი გახლდათ და სწორედ ამიტომ დღეს მათი მუშაობა არარენტაბელურად ითვლება. კომუნისტურ საქართველოში უდავოდ ბევრი სიკეთე შეიქმნა. ასეთ ღუმლებს ამზადებდა როგორც თბილისის სარემონტო მექანიკური კომბინატი, ასევე მოსკოვის პურპროდუქტების სარემონტო მექანიკური კომბინატი. ეს ღუმლები ნაციონალური ლავაშებისათვის გაიყიდა პაკისტანში, შუა აზიის ქვეყნებში, ბულგარეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში წარმატებით მუშაობდა თბილისში, ბათუმში, რუსთავში, ჭიათურაში. კონსტრუქტორმა და ინჟინერმა რაჟდენ გამსახურდიამ სათავე დაუდო პურპროდუქტების ნაციონალური საინჟინრო სკოლის შექმნას. დღეს,როდესაც მთელ მსოფლიოში ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა აღინიშნება, პრიორიტეტი კუსტარული ტიპის ღუმლებს მიეცა, თბილისის №4 პურის ქარხნის სპეციალისტებმა ინჟინერმა თამაზ ნავროზაშვილმა, მალხაზ დოლიძემ და მექანიკოსმა გიორგი რამაზაშვილმა კერამიკული სანთურა შექმნეს. ასეთი სანთურები ეკონომიკურია და მომსახურებაში მარტივი. დღეს ასეთი სანთურებით აღჭურვილ თონეებს საქართველოს მრავალ კუთხეში იხილავთ.

ერთი საინტერესო და მეტად საყურადღებო ფაქტი: პურის ცხობის საკითხებით დაინტერესდა მისი უწმინდესობა საქართველოს პატრიარქი ილია II. სრულიად გაოცებული დავრჩი, იმით,რომ პატრიარქი შესანიშნავად ერკვევა პურის ცხობის ნიუანსებში. გაკვირვებულმა ვკითხე, საიდან ერკვეოდა ტექნოლოგიურ ნიუანსებში. ამიხსნა, ჩემს მშობლებს ვლადიკავკაზში ორი საცხობი ჰქონდათ და იქ ჯერ ხაშებს ვამზადებდი (ცომის მოზელვის წინა სტადია), შემდგომ ცომს და ვაცხობდითო. მითხრა, ამ სპეციალობაზე დიდი მადლი არ არსებობს, როდესაც შენს ნახელავს ხალხს უბოძებ. ამიტომ ყველა მცხობელს მოვუწოდებ, გაუფრთხილდნენ ხაბაზის პრესტიჟსო.



**მალხაზ დოლიძე**

*ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავჯდომარე*

## მანანა დანგაძე:

# თავაწეულმა იარე, ჩემო ქართველო დღესაც!..



## გაუმარჯოს!

აკელაპტრებულ სამებას,
სანთლად დაღვენთილ სიონს,
ჯვარით ეშმაკის წამებას,
მონანავებულ სიოს;
ამ აქარვებულ მტევნობას,
მძიმე თავთავთა ყანას,
თუნდაც ურდოთა მტერობას,
იმ გაუსაძლის ხანას;
გლეხის დაკოჟრილ მარჯვენას,
აკვნის დამრწევის ნანას,
მუხას, დატოტვილს ვარჯებად,
ქალწულებს, ლერწმისტანას;
ვაჟკაცს არწივის ფრთებიანს,
მტრისთვის ალესილ დანას,
მათ, ვინც ბრძოლებში ბნდებიან,
გალობას – სულთათანას;
თერგის მედიდურ ქუხებას,
ალაზნის დინჯად დენას,
მთის სილამაზით წუხებას,
ქარს, ზენასა თუ ქვენას;
ყვავილთა აფერადებას,
ფრთხილად მოსაჭრელ წალამს,
მოძმისკენ, ხიდის გადებას
და მეგობრობის ძალას;
გულიდან ვეღარ ამოშლილ
ოშკს, ხახულსა და ბანას,
ტაძრის ნანგრევებს, ჩამოშლილს,
„ხორუმს“ თუ „განდაგანას“;
მაჩაბელს, სავსეს ღირსებით,
შარავანდედით ფარვას,
ჯიშს ჩოხითა თუ ჯინსებით,
რომ არ ჰგავს ცხვრების ფარას;
წმინდა სანთელს და კელაპტარს,
ჩაქვითკირებულ რწმენას,
სხვა რაღა უნდა ენატრა
თვალის ჩინსა და სმენას?!

* * *

თავაწეულმა იარე,
ჩემო ქართველო დღესაც!
რადგან ხანდახან ღრუბელი
ფარავს კაშკაშა მზესაც.

## ოღონდაც საქართველო დამიტოვე!

არ მინდა ბრენდი, ვისკი, ჯინ-ტონიკი,
ვერც რომი და ტეკილა გავიტოლე –
ვენახი მანავით და ოჯალეშით,
უფალო, გევედრები – დამიტოვე!
არ მინდა ფურშეტი და პიკნიკ-ფართი,
ვერც შოუ, შოუმენი გავიტოლე,
თამადა მჭევრმეტყველი ქრისტეს სისხლით,
უფალო, არ მომაკლო – დამიტოვე!
არ მინდა ჯიშად გადაგვარებული,
სხვის ბაგას შეფარებულს ვერ ვიტომებ,
უფალო, დამილოცე ბიბლია და
მაცხოვრის სახარება დამიტოვე!
არ მინდა ურჯულოთა კანონები,
იუდა ქრისტეს მოსვლით გამიოცე,
მამაო, გამიხარე სიცოცხლის ხე,
ლაზარეს ამაღლება დამილოცე!..
მავანი ეკლესიას მედავება,
მავანი მიწის გოჯსაც არ მიტოვებს,
უფალო, ყველა ცოდვას ვაღიარებ,
ოღონდაც საქართველო დამიტოვე!

## ძველი თბილისის გახსენება

დაწაწლაობს
მტკვრის ნაპირთან თბილისი
და გვირისტი გაატარა ღამემ,
რა საარი შემოისმა დილის ხმის,
„ტურფავ, ტურფავ“ –
მიმღერეო რამე.
სატივეზე მოხსნეს ტივებს საბელი
და არღანმა გააყრუა არე,
ფიროსმანმა მიმოხატა რა ფერით
ორთაჭალის –
ძველი უბნის მხარე.
შეუკაზმავთ ფაეტონში ცხენები,
გლეხი ყიდის
მის მარჩენალ ხარებს,
დუღს თბილისი
ციებით და ცხელებით,
კინტოები თავს უკრავენ ქალებს.
ყვავილების მიწას ყიდის ვიღაცა,
იეთიმ გურჯი
ჩამორითმავს პწკარებს,
აქ სიმღერა დაუწყია თიხასაც,
მეთარენი აკვნესებენ თარებს ...
ისმის ზარი,
ზარი ცისკრის ლოცვებად,
გალობის ხმა ეკლესიას ავსებს,
მაცხოვარი ისევ დაილოცება
და მირონი ჩაეღვრება თასებს ...
გულს მაწვება დარდებად და იარად,
ისევ ისე
იმ ძველ თბილისს ვნატრობ,
როცა
მთლიან საქართველოს კი არა,
ყვავილების მიწას ჰყიდდნენ მარტო!

## სულს ავუნთე კელაპტარი

ირგვლივ ეშმას ხარხარია,
ძალას იკრებს იუდა,
სულს ავუნთე კელაპტარი,
გამიეკლესიურდა.
ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიარე
ჩემი მთა და ველები,
მტკაველ-მტკაველ მიწა ვკოცნე
მტრისგან განახელები.
ღმერთმა რად არ გამაჩინა
ქეთევანად, თამარად,
ხედავთ, ქვეყნის სიყვარულმა
როგორ გამათამამა?!
ბევრი მსურდა, ვერ შევძელი,
ვერა, სულო და გულო,
დედისერთა გაგიზარდე
შენს მსახურად მამულო ...
საშველს ვეძებ, ხარხარია,
ძალას იკრებს იუდა,
სული, ხელში უფლის სანთლით
გამიეკლესიურდა.

## ჩემო ქართველო

გინძური წყალი თუ შეასხეს შენს დიდ
ღირსებებს.
ნუ მოიღრუბლე თუ სიკეთის მოგჭრეს
მარჯვენა.
თუ მამაღმერთი განსაწმენდად
წარღვნას ინებებს,
იცოდე, ნოე შენ მოგძებნის გადასარჩენად.
ნუ დაღონდები თუ გიგინებს რწმენას
მავანი,
თუ მტერმა წმინდა ეკლესიას ჯვარი
ამოხსნა,
გაძლიერდება შენი ჯიში, შთამომავალი
და შენ იხილავ წყვდიადიდან ქვეყნის
გამოხსნას.
ტკივილს გაუძელ, შენს მიწას თუ
ხორცებს წიწკნიან,
თუ გატანჯული ვერ ახერხებს
ფეხზე დადგომას,
უგნურმა მტრებმა არ უწყიან და
არ იციან,
რომ ძირს დაცემას მუდამ მოსდევს
დიდი აღდგომა.
ნუ სევდიანობ თუ არ გხურავს მანტია
ფარჩის,
თუ შენს ქვეყანას ნისლიანი ზეცა დაჰხურეს,
ოღონდ სინდისს არ უღალატო,
ერთგული დარჩი
და ღვთის გლახაკი წრფელი გულით
კვლავ დააპურე.
გზააბნეული თუ მიჰყვები მღვრიე დინებებს
და კვლავ განიცდი, რატომ მოჭრეს
უტას მარჯვენა,
თუ მამა ღმერთი განსაწმენდად
წარღვნას ინებებს,
იცოდე, ნოე შენ მოგძებნის გადასარჩენად.

## სამშობლოვ ჩემო!

ტაძრის გუმბათზე თავს იხრჩობს ქარი,
სხვაგვარს დავეძებ შენთვის ზვარაკებს,
როგორ შეძელი ეს უტყვი ქალი
შენზე ლექსებით მალაპარაკე!

## მაცხოვრის მონოლოგი

თენდება, მესამედ იყივლებს მამალი,
დამთავრდა, არსაით არ ველი შენდობას,
მე თქვენთვის მინდოდა საზრდო და
წამალი,
ცუდია, როცა კაცს კაცი არ გენდობა.
მე ვიცი, სად მიდის ეს ჩემი აღმართი,
ცრემლები არ გინდა, დედაო მარიამ,
ზურგზე რომ მკიდია – ეს ტვირთი არ არის,
ეს ჩემი საზიდი მაცხოვრის ჯვარია.
გათენდა, მესამედ იყივლა მამალმა
იუდა თვალებით ერთ წერტილს მიესო,
მთვარემაც მოასწრო ღრუბლებში ჩამალვა,
ზეციდან მომესმა მამის ხმა –იესო!...
სული ხორცს გაყრილი ზეცისკენ აიჭრა,
სხეული მიწაზე დატოვა ხუნდებით,
ოღონდ თქვენ მინატრეთ, ოღონდ
თქვენ მინატრეთ,
ოღონდ თქვენ მინატრეთ!...
მე დაგიბრუნდებით ...

## ქრისტე და მეფისტოფელი

ვესათუთები ტაძრის გუმბათებს,
წაღმა ტრიალებს თითქოს სოფელი,
ვიდრე ავბედი დაგვამუნათებს
და მოგვერევა მეფისტოფელი.
ჩემს სასთუმალთან მტრედი აფრინდა
და ზეთისხილი შემომატარა,
წამოვიმართე თავშესაფრიდან
და დავეხსენი წყეულ სატანას.
უკან დავტოვე გზა სიმძიმილის,
ჩუმი წყევლა და ლიქნი მზაკვრული,
ღმერთო, მიჩვენე ქრისტეს ღიმილი,
მეფისტოფელი ჯვარზე გაკრული!

* * *

წლები იმ წარსულით ამაყობდა ...
ვწუხვარ ... და შეცდომებს ვნანობ!
ნეტავ, ერთხელ კიდევ გამაგონა –
„დედა შემოგევლოს, მანო“ ...

* * *

რატომ ყმუოდა იმ ღამეს ძაღლი?
მთვარემ ღრუბლებშიც გვერდი იცვალა.
გათენდა ... მაგრამ მწუხრს შერჩა
სახლი ...
იმ დილას ... მამა გარდაიცვალა.

## მძულხარ!

მძულხარ, როდესაც კვირტი იშლება,
ყვავილებს პენტავს ფიფქებად ქარი,
წვიმის ნაჟურით დაორსულებულ
მიწას რომ სტკივა ნამამრის კვალი.
მძულხარ, როდესაც ყველა ნაკვალევს
ზეცის ცრემლები გადარეცხს, წაშლის,
მძულხარ, როდესაც ისევ და ისევ
შეიფერება სისხლისფრად ვაშლი.
მძულხარ, როდესაც თეთრი ფიფქები
სუდარასავით მეხვევა ტანზე,
მძულხარ, როდესაც მოგონებების
კარავს გაიშლის ფიქრები ბანზე.
მძულხარ ზამთარში, მძულხარ ზაფხულში,
მძულხარ დარსა და მძულხარ ავდარში,
მძულხარ, როდესაც ლექსთან ვჭიდილობ,
სტრიქონს ვატარებ ცეცხლის ღადარში.
მძულხარ უჩუმრად, მძულხარ უსიტყვოდ,
მძულხარ, როდესაც სარეცელს ვკეცავ
და სულ ერთია, მზე გამიცინებს,
თუ ცრემლებს იწმენდს ღრუბლებით ზეცა ...

უფალს ავხედე, ცა მოწმენდილა,
გული საგულეს კვლავ შენით ფეთქავს,
იქ, სადაც სიტყვა „მძულხარ“ წამომცდა –
ყველგან „მიყვარხარ“ მინდოდა მეთქვა.

## ვერ ვიხსენებ

ზამთრის ლოლო-ყინულები
ცრემლებივით დნებიან
და ამაო გაზაფხული
თვალში მომჩერებია.
აფეთქებულ ხის ტოტებზე
ჟღურტულებენ ჩიტები,
შეიფოთლნენ ხეები და
აელვარდნენ ტიტები.
სისხლმა ჩქროლვას მოუმატა:
ვერ ვიხსენებ, მიყვარდა?
თუ მიყვარდა, რად არ მახსოვს
ან რად გადამიყვარდა?!
რად არ მახსოვს მოფერება,
ტკბილზე ტკბილი ამბორი?
არ ვენდობი ყურმოკრულს და
არ ვენდობი გაგონილს.
არც ის მახსოვს, ოცნებების
წიგნს თუ ვაფრიალებდი,
ღმერთო, ბოლო გამახსენე –
იმ ერთ ჭიქას დავლევდი.
ჰოი, როგორ გახარჯულა
გრძნობით სავსე სკივრები,
აღარ მახსოვს, დავაპურე
გულიანად მშივრები?!
დავრჩი ასე გაძარცული,
დრომ ტლინკები მიყარა,
ვერ ვიხსენებ, მე უარვყავ
თუ მან გადამიყვარა?!

## მივდივარ ...

ნუ გიკვირს ჩემი მეტამორფოზა,
არაფერია აქ საკვირველი,
ყველა ჩაგრული ქალის სანაცვლოდ,
დღეს მე მივდივარ შენგან პირველი.
ტყუილად ეძებ სასროლად ტალახს,
ჩემკენ სიმშვიდე, თუმცა ბინდია
და ნურც მიგზავნი ვარდებით კალათს,
მდედრნი სიყვარულს არა ჰყიდიან.
ნუ შემომყურებ საცრის თვალებით
და ჩემს ქცევაში ნუ ეძებ ღალატს,
მე მივდივარ და თან გავიყოლებ
კარგად მორგებულ ერთგულის ხალათს.
ჰო, მივდივარ და ჩვენ შორის უკვე
დღეს ჩამტვრეული დიდი ხიდია,
და რომ ქალები კარგებისაგან,
კარგებისაგან არსად მიდიან.

## რაა სიყვარული ...

რაა სიყვარული? – მკითხეს მეგობრებმა,
თითქოს გულისგულში მიყრიან სადგისს,
– კაცი რომ დაეძებს დაკარგულ ნეკნსა და,
ქალი რომ დაეძებს ამ ნეკნის ადგილს.
ასე ვუპასუხე, ვითომდა იოლად,
ვდგავარ ეული და ერთ ადგილს ვტკეპნი,
ვითომდა მე მეძებნოს ნანატრი შიოლა,
ანდა „მას“ ეპოვოს თავისი ნეკნი.

## ამქვეყნად უშენოდ რა მინდა

მიყვარხარ დილას და შუადღეს,
მიყვარხარ დღისით და ღამითაც,
ჩემი ხმა შენს მითებს მიანდეს
ამ ქვეყნად უშენოდ რა მინდა;
მიყვარხარ თოვლიან ამინდში,
ძაღლს რომ არ გააგდებ სახლიდან,
სისხლი სულ სხვაგვარად დამიდის,
სიცოცხლე დავიწყე ახლიდან.
მიყვარხარ, როდესაც ჩემთან ხარ
და როცა არა ხარ, მაშინაც,
იმედი და გადარჩენა ხარ,
წარსული მთლიანად წაშლილა.
მიყვარხარ, დღეს კარგი დარია,
შენ ჩემი ყვავილთა ცვენა ხარ,
სამყარო შეიძრა, ზარია,
მზის ჩასვლა რომ ერთად გვენახა.
მიყვარხარ დილას და შუადღეს,
მიყვარხარ დღისით და ღამითაც,
ჩემი ხმა შენს მითებს მიანდეს,
უშენოდ ამ ქვეყნად რა მინდა!

* * *

წლეგი თითქოს გაგეფანტა,
გაქრა ქარში,
ასეთია გედის მწარე განაჩენი ...
მზეს თუ ხედავ წვიმით სავსე
ნაჩლიქარში –
გადარჩეგი!

ძიუდო

# კანდიდატები შეარჩიეს

თბილისის ძიუდოს აკადემიაში დამთავრდა 2000-2003 წლებში დაბადებულ გოგონათა საქართველოს პირველობა. რვა წონით კატეგორიაში სხვადასხვა კუთხის 58-მა წარმომადგენელმა იასპარეზა. ტურნირს მხოლოდ რამდენიმე ძიუდოისტი დააკლდა: ნაკრების მწვრთნელებმა გაათავისუფლეს ევროპის 2016 წლის ვიცე-ჩემპიონი, მძიმეწონოსანი სოფიო სომხიშვილი, რომელიც ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციას გადის და 2015 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი მარიამ ჭანტურია. მან



**ახლახან ოპერაცია გაიკეთა. ამ შეჯიბრებამაც დაადასტურა, რომ ჩვენთან ძიუდო გოგონებშიც სულ უფრო პოპულარული ხდება. ასპარეზობა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. არც არის გასაკვირი, რადგან ამ პაექრობებს უნდა დაესახელებინა საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი, რომელიც წლეულს მნიშვნელოვან შეჯიბრებებში გამოცდის ძალებს. ივლისის დასაწყისში ლიტვა ევროპის პირველობას უმასპინძლებს, აგვისტოში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩილეშია დაგეგმილი, მანამდე კი უნგრეთში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. ამ ტურნირებზე გამოსვლის უფლების მოპოვება კი მოასპარეზეებისთვის დამატებითი მოტივაცია იყო.**

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ ნინო წერეთელი (40 კგ), ანა ასანიშვილი (44), სალომე ბლიაძე (48), მარიამ გურგულიანი (52), თინათინ რევაზიშვილი (57), ინდირა სილაგაძე (63), მარიამ თეთრაძე (70), სალომე მაყიშვილი (+70).

ტურნირზე დაწესებული იყო სპეციალური პრიზები, რომლებითაც დაჯილდოვდნენ: **ტურნირის საუკეთესო ძიუდოისტები:** სალომე ბლიაძე, თინათინ რევაზიშვილი; **ყველაზე ეფექტური მოჭიდავეები:** ინდირა სილაგაძე, სალომე მაყიშვილი; **ყველაზე დამაჯერებელი ასპარეზობა:** ანა ასანიშვილი; **მომავლის იმედი:** მარიამ ლაფაჩიშვილი, სალომე გულისაშვილი, გვანცა სომხიშვილი, ლიზი ოქრიაშვილი, ნინო ლოლაძე; **ყველაზე მებრძოლი:** მარიამ გურგულიანი, ნინო წერეთელი; **ტურნირის აღმოჩენა:** მარიამ ფოცხვერაშვილი, ანი ბერიძე; **სპეციალისტთა რჩეული:** ეკა ტატუნაშვილი.

**ლექსო ცინცაძე**

# პარიზში 13 ქართველი იჭიდავებს

**2017 წლის სეზონი ძიუდოისტებმა კარგა ხანია, გახსნეს, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ფალავნები სტარტს ფრანგულ ტატამზე აიღებენ: 11-12 თებერვალს პარიზი დიდი პრიზის გათამაშებას უმასპინძლებს და იქ უძლიერესი შემადგენლობა მოიყრის თავს.** საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი – ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე) შეჯიბრებაზე 13 სპორტსმენით წარსდგება. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ ამირან პაპინაშვილი და ლუხუმ ჩხვიმიანი (60 კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი და ფრიდონ გიგანი (73), ზებედა რეხვიაშვილი და თამაზ კირაკოზაშვილი (81), ბექა ღვინიაშვილი და ავთანდილ ჭრიკიშვილი (90), ლაშა ტაველური და ვარლამ ლიპარტელიანი (100), ლევან მატიაშვილი და გურამ თუშიშვილი (+100). ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩვენები საფრანგეთში ტრადიციულ ერთობლივ წვრთნებზე დარჩებიან და იქიდან გერმანიაში დიუსელდორფის გრან პრიზე გაემგზავრებიან.

**გივი გაგუა**

ილიას გზით




**მწერალთა სახლის (ერთ დროს – სასახლის) ისტორიულ დარბაზს უამრავი დაუვიწყარი თავყრილობა ახსოვს, მაგრამ ის ანშლაგი, რომელიც დავით ალმაშენებლის ხსენების დღეს მაჩაბლის 13-ში მისულთ დაგვხვდა, XXI საუკუნეში, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნება.**

ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, გულშემატკივრები და კალმოსნები ამჯერად ლეგენდარული მამულიშვილის, ტყავის ბურთის დიდოსტატის სლავა მეტრეველისადმი მიძღვნილმა მორიგმა სამაგიდო წიგნმა გააერთიანა, რომლის ავტორმაც – ფართო დიაპაზონის მოღვაწე დემიკო ლოლაძემ თანამემამულენი საიუბილეო – მე-60 კრებულით დაასაჩუქრა (აქედან 45-ე საფეხბურთოა).

ალბათ, ამ ფაქტმაც განაპირობა მწერალთა კავშირის თავქალის მაყვალა გონაშვილის გადაწყვეტილება, რომელმაც ღონისძიების დასაწყისშივე მიანიჭა ბატონ დემიკოს სანუკვარი – ილია ჭავჭავაძის პრემია.

ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის ასეთი დაფასებით გამოწვეული, მადლიერებით გამსჭვალული ამაღლებული განწყობა ერთგვარ ლაიტმოტივად გაჰყვა მთელ საღამოს. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის მერიასთან ერთად მის ღირსეულად ორგანიზებას წარმატებით გაართვა თავი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ. სხვათა შორის, მისი ახალი პრეზიდენტის

# მართლაც, „სლავა“ დემიკოს!

მიხეილ აბაიშვილისთვის ეს საბრძოლო ნათლობა გახლდათ.

სლავასნაირი კორიფეები რომ კიდევ იბადებოდნენ, არც აფხაზეთში განვითარდებოდა ტრაგიკული მოვლენებიო – ითქვა შეხვედრაზე. დასტურ!

შეკრებილთ არც ცნობილი „დელეცების“, უპირველესად – ირაკლი ნემსაძის დამსახურების ხაზგასმა დავიწყნიათ, ვისი ძალისხმევითაც მეტრეველი მოსკოვის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ გადმოვიდა.

სამაგალითოდ გვესახება მსოფლიო დონის ვარსკვლავის მშობლიურ სოჭელთა ყურადღება, სადაც მისი სახელობის არამარტო სტადიონი აქვთ, არამედ ადლერში – ქუჩაც. ნეტავ, ჩვენ როდის მივბაძავთ მეზობლებს?

**გია პლატონიშვილი**



გახსენება

# ჯემალ მელაძე



**ჯემალ მელაძისთვის არსთა გამრიგემ 60 წელი გაიმეტა.**

**რასაკვირველია, კაცისთვის, ვინც შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ჯერ აქტიურ სპორტს, კერძოდ – მაგიდის ჩოგბურთს, ხოლო შემდეგ – მომავალი თაობების დაფრთიანებას შეალია, ეს ნამდვილად ცოტაა.**

**კიდევ უფრო ცოტაა მისი ჭეშმარიტი სამეგობროსთვის, ვისთვისაც უშურველად უყვარდა გულის სითბოსა და ყურადღების გაღება.**

**სამწუხაროა, რომ ოჯახურმა ტრაგედიამ და ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელმა უსამართლობებმა ასე ნაადრევად შეწყვიტა დიდებული პიროვნების სიცოცხლე.**

**დღეს ჯემალ მელაძის გარდაცვალებიდან ერთი წელი შესრულდა.**

**ნათელი დაადგეს!**

**მეგობრები**

საჭადრაკო ოლიმპოს მკვიდრი

# როცა ნიჭი კაცს ბედნიერს არ ხდის

**ჭადრაკში მსოფლიოს მეათე ჩემპიონს ბორის სპასკის ახლახან 80 წელი შეუსრულდა. იგი დიდი ხნის მანძიზე საფრანგეთში ცხოვრობდა, 2012 წელს კი რუსეთში დაბრუნდა.**

– საჭადრაკო კარიერა 1946 წელს დავიწყე, ლენინგრადში, სადაც კულტურის პარკის საჭადრაკო პავილიონში... თეთრმა ლაზიერმა „დაატყვევა“ ჩემი გონება, იმდენად ლაღად „დასეირნობდა“ ბრძოლის ველზე, – ამბობს გროსმაისტერი. – მისი მოპარვაც კი მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე. ბოლოს ის გადარჩა, თუმცა მისი ახალი ლაქის სუნი დღესაც მახსოვს.

თანამედროვე ჭადრაკს გასული საუკუნის 60-იანი წლებისას თუ შევადარებ, იმის თქმა შეიძლება, რომ იმ დროს ინდივიდუალობა გაცილებით მეტი იყო. ამჟამად უფრო მეტია კომპიუტერი და მისი შესაძლებლობები. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მე არ მომწონს ის, რასაც დღესდღეობით ვხედავ. შეჯიბრებები საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობს.

მინდა ერთი აზრი გამოვთქვა, რომელიც, ჩემი აზრით, ყველა დროშია სამართლიანი: მოჭადრაკე თავს უნდა არიდებდეს პოლიტიკას, არავის აძლევდეს სხვა თამაშებში თავის ჩათრევის შესაძლებლობას.

1976 წელს მოსკოვიდან პარიზში საცხოვრებლად იმის გამო გადავედი, რომ შესაძლებლობა მქონოდა, ყველა საერთაშორისო ტურნირში მიმეღო მონაწილეობა. მთავარი მიზეზი ეს იყო. არადა, სსრ კავშირის სპორტკომიტეტს ეს პრობლემა რომ გადაეჭრა, მაშინ ქვეყნიდან წასვლა არ მომიწევდა. რუსეთში კი 2012 წელს დავბრუნდი. დღესდღეობით ჩემი მთავარი საზრუნავია საფრანგეთში დარჩენილი ჩემი არქივის გადარჩენა. იქ იშვიათი საბუთები, უნიკალური წიგნები, ჭადრაკის ისტორიისთვის საინტერესო სხვა მასალებია დაცული. მაგალითად, რუსეთული წარმოშობის ერთი ამერიკელი ქომაგის წერილი, რომელიც რობერტ ფიშერთან მატჩამდე მივიღე. ის კაცი მწერდა, რომ ფრთხილად ვყოფილიყავი, ვინაიდან სპეცსამსახურები ულტრაბგერით გამოსხივებას იყენებენო.



ვიქტორ კორჩნოისთან მატჩის დროს, რომლის გუნდს ფსიქოლოგი რუდოლფ ზაიგანოვი თავკაცობდა, ერთ-ერთ პარტიაში უხეში შეცდომა დავუშვი. უფრო სწორად, ერთგვარი დამბლა დამემართა და დიდი ხნის მანძილზე ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, როცა არაფერი მესმოდა...

იდუმალი რაღაცები ფიშერთან შეხვედრის დროსაც ხდებოდა: მთელი მატჩის განმავლობაში შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაცა ძალიან ძლიერად ხელს მიშლის გონების მოკრეფას. 12 წლის წინათ კი იმ მატჩის ერთ-ერთ ორგანიზატორს შევხვდი, რომელმაც მითხრა: „თვქვენი ეჭვები არც ისე სულელური და უსაფუძვლოა“.

მიჩნეულია, რომ საჭადრაკო სამყაროში არ შეიძლება გყავდეს მეგობრები, თუმცა კი მე ისინი მყავდნენ. მაგალითად, აწ გარდაცვლილი ბულგარელი მოჭადრაკე ზრდავკო მილევი. რობერტ ფიშერის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენ საკმაოდ დავახლოვდით. იგი 2008 წელს გარდაიცვალა და იმის მიუხედავად, რომ მისი გადარჩენა ადვილად შეეძლოთ, ოპერაციის გაკეთებაზე უარი თქვა, ვინაიდან დევნის ძლიერი მანიით იყო შეპყრობილი: მას ეგონა, რომ საოპერაციო მაგიდაზე მოკლავდნენ.

ისე კი უნდა ითქვას, რომ საჭადრაკო გენიას ადამიანი ბედნიერი არასდროს გაუხდია. გამონაკლისი მხოლოდ მიხეილ ტალი იყო, რომელიც თავის ნიჭს ძალიან ხალისიანად უდგებოდა. მე მას მუდამ დიდი სითბოთი ვიხსენებ. ბედნიერი კი, შესაძლოა, საჭადრაკო ნებიერა, ხოსე რაულ კაპაბლანკა იყო. მე კი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულმა ბედნიერება არ მომიტანა, მხოლოდ რამდენადმე გამომიკეთა მატერიალური მდგომარეობა. მაგრამ, ეს იყო და ეს – იმ ხნის ჩემი ფოტოსურათები რომ ნახოთ, დაინახავთ, თუ სიფათის რა მჟავე გამომეტყველება მაქვს. დიახ, ბატონო, სწორედ რომ სიფათის და არა სახის.

**მომზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

სანთელი

# თეიმურაზ კაპანაძე



75 წლის ასაკში უეცრად გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეურნეო სამსახურის ღვაწლმოსილი მუშაკი თეიმურაზ კაპანაძე.

თ. კაპანაძე დაიბადა 1942 წლის 15 ივლისს ქ. თბილისში, 1959 წელს ამთავრებს თბილისის I საშუალო სკოლას, ხოლო 1972 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტს.

სხვადასხვა გარემოებათა გამო ვერ შეძლო ემოღვაწა მიღებული სპეციალობით და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1959-1961 წლებში მუშაობდა თბილისის საპროექტო ინსტიტუტ „სოფლმშენსახპროექტში" მხაზველად, 1961-1964 წლებში გაწვეულ იყო სამხედრო სამსახურში, 1964-1973 წლებში მუშაობდა ავჭალის საბჭოთა მეურნეობაში. 1973 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა აკადემიაში, იყო აკადემიის საქმეთა მმართველობის ინსპექტორი, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების წამყვანი ინსპექტორი, სამეურნეო-საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, ხოლო ბოლო დროს — აკადემიის სამეურნეო სამსახურის ექსპედიტორ-მომმარაგებელი.

თ. კაპანაძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, იყო ჩუმი, პატრიოტი ადამიანი.

წავიდა ჩვენგან თ. კაპანაძე და დიდ გულისტკივილთან ერთად დაგვიტოვა ნათელი მოგონებები და კაცური კაცის სანიმუშო თვისებები.

ბატონო თეიმურაზ, თქვენი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება თქვენს მეგობრებსა და თანამშრომლებს შორის.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვაწლმოსილი თანამშრომელი

## თემურ კაპანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 10-11 II, 16 სთ. დაკრძალვა - 12 II, 14 სთ.

მისამართი: თბილისი, სოფ. გლდანი, იპოლიტე ვართაგავას (ყოფილი ტაბიძის) ქ.33.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის 4 აპრილს, 14 საათზე, ქ. ხობის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189) გაიმართება სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტის ქ. ხობში სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობა-ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. ხობის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- **კახაბერ ხუბუა.** ტელ: 599 158 999; E-mail: Ecomedltd@yahoo.com ;
- **ნიკოლოზ სოფაძე.** ტელ: 597 72 88 71; E-mail: nikasofadze@hotmail.com;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების და შენიშვნების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ეკომედი"-ს ადმინისტრაცია


ეპიტაფია

# „ერთი სასაფლაო მქონდა, ისიც თოვლმა დამითოვა"

## ნიკო მემანიშვილი – 65



ჩემო ნიკო!

„სიცოცხლის ხანგრძლივობა, რა თქმა უნდა, მიმზიდველია, მაგრამ, ალბათ ის არ არის ბედნიერების ერთ-ერთი სახე. ვინ იცის, იქნებ მთავარი ის კი არ იყოს, რამდენ ხანს ცხოვრობს ადამიანი, არამედ ის, თუ როგორ ცხოვრობს".

ეს სიტყვები დიდ რეზო თაბუკაშვილს ეკუთვნის და შენი ხანმოკლე სიცოცხლის ერთგვარი „გამართლებაა", მაგრამ, მიუხედავად ამისა, 36 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან და ამ ხნის მანძილზე არაერთხელ დავრწმუნდით, რომ თუ კი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფლად, ეს სიკვდილია, ჩვენ მაინც ვერ ვეგუებით შენი სიკვდილის სასტიკ კანონზომიერებას.

შენი ღირსეული და ხანმოკლე სიცოცხლე და დიდი სიკვდილი ჩვენთვის იქცა კაცობის საზომად, ნიშანსვეტად. მთელი შენი არსებით სიკეთე იყავი, შენს ქმედებას ყოველთვის უძღოდა წინ სიყვარული კაცთა, სიყვარული მშობლების, სიყვარული დედმამიშვილების, სიყვარული ნათესავების, სიყვარული მეგობრების და სიყვარული საქართველოსი.

1968 წელი — სტუდენტობის ოქროს ხანის დასაწყისი. ჩვენ გავხდით ყველა დროის თაობისათვის საამაყო „გეპეი"-ს სტუდენტები. პირველივე დღეებიდან ვიწყებთ მეგობრობას ლევან გურალია, მერაბ ჯანელიძე, ზურაბ ლანჩავა, ნიკო მემანიშვილი, დემურ მაცაბერიძე, ალეკო ტაბაღუა, გურამ ახალაია, ლიდერია ლევან გურალია...

1970 წელი სიკვდილის პირველი გამოცხადება, ავტოკატასტროფაში დაიღუპა ლევან გურალია. ჩვენ მას აღვიქვამთ, როგორც მოულოდნელსა და თავზარდამცემ ტრაგედიას. ჩვენ სამეგობროში არაერთხელ გვითქვამს და კვლავაც გავიმეორებ — საქართველომ იმ დღეს დაკარგა ნამდვილი პატრიოტი და ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი. ჩვენ კი უერთგულესი მეგობარი.

ჩვენს სამეგობროს მერე ლიდერი არ ჰყოლია კარგა ხანს, მაგრამ ჩვენს ირგვლივ გაერთიანდა მეგობართა დიდი წრე „გეპეი"-ს სხვადასხვა ფაკულტეტიდან: თემურ ხარებავა, ალეკო ჟვანია, ანტონ ინგოროყვა, ბიძინა სონღულაშვილი, ზურაბ ერქვანია, გოდერძი ბუკია, გია მახარაძე, ლეილა გრძელიძე, მანანა კეკელიძე, მარინა მიქაძე და, რა თქმა უნდა, ჩვენი სამეგობროსადმი გულწრფელი ერთგულებით გამორჩეული გოგოები განუმეორებელი 202-ე ჯგუფიდან: ლია ტყებუჩავა და ფერიდე ხიდეშელი, ნინიკო ჟვანია და მანანა გეჯაძე და 202-ე ჯგუფთან ასოცირებული დიანა ნებიერიძე.

ამ დიდი სამეგობროს ლიდერობა თემურ ხარებავამ ითავა და ღირსეულად უძღვებოდა სიცოცხლის ბოლომდე. შენი ახლო მეგობრები როცა ვიკრიბებით, ხშირად ვიხსენებთ შენი და თემურის დიალოგებს. 202-ე ჯგუფის ერთ-ერთ შეკრებაზე, რატომღაც ძალიან სევდიანი და სერიოზული იყავი. თემური თამადობდა და არ გეშვებოდა, ნიკუშ, წაიკითხე რა „ერთი სასაფლაო მქონდა"... შენ დიდხანს ხმას არ იღებდი, ბოლოს წამოხტი და ხმამაღლა წარმოთქვი „მქონდა, ბატონო, მქონდა და ისიც თოვლმა დამითოვა": შემდეგ გალაკტიონის ეს შედევრი არაჩვეულებრივად წაიკითხე და ბოლომდე მოილხინე.

შენი გარდაცვალების შემდეგ პირველი თოვლი მალე მოვიდა. თემურ ხარებავამ ყველანი შენს საფლავზე შეგვკრიბა, მერე ტრადიციად შემოიღო, ვიწრო სამეგობროში ქეიფის შემდეგ ბოლო სადღეგრძელოს შენს საფლავზე ამბობდა ზოგჯერ შუაღამესაც...

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი და შთამომავლობა არ დაგრჩა, ამ 36 წლის მანძილზე უჭირისუფლოდ არ დარჩენილა შენი საფლავი.

შენი სათაყვანებელი კუკურა მამიდა და მამიდაშვილი გულიკო შენს დედმამიშვილებთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე იდგნენ შენი საფლავის მცველად და მომწესრიგებლად. შენი ერთგული მეგობრების ყურადღებაც არ მოჰკლებია შენს მარადიულ სამფლობელოს, ამიტომაც მუდამ ამშვენებს მას ცოცხალი ვარდები, მიხაკები თუ ადრეული იები და ყოჩივარდები. დღესაც იქ შევიკრიბებით და შენთან დაკავშირებულ ტკბილ და სევდიან მოგონებებს იქ გავუზიარებთ ერთმანეთს.

ალბათ, შენც შენს ახლობლებთან ერთად ჩვენი საერთო მეგობრების გარემოცვაში აღნიშნავ 65 წლის იუბილეს — ლევან გურალიასთან, თემურ ხარებავასთან, ზურა ლანჩავასთან, ჯანგული ჯანელიძესთან, ალეკო ჟვანიასთან.

მადლობა, ჩემო ნიკო, მიუხედავად შენი ხანმოკლე სიცოცხლისა, ასე რომ შეგვაყვარე და დაგვამახსოვრე თავი. შენი ზნეკეთილობით, განუმეორებელი გულთბილობით, სპეტაკი სულით, ნათელი თვალებით, ახალგაზრდული სიდარბაისლით გამორჩეული სახით! მადლობა ერთად გატარებული წლებისთვის! მადლობა, იმ დიდი სიყვარულისთვის, ჩვენ რომ გვინაწილებდი და დღემდე გამოგვაყოლე. შენისთანა კაცზე თქვა ჩვენმა დიდმა პოეტმა ეს სიტყვები: „ჩვენს შორის იყავ და სიცოცხლეს გვიადვილებდი, წახვედი და სიკვდილი გაგვიადვილე"!

202-ე ჯგუფის და მეგობრების სახელით

**გურამ ახალაია**

---

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი თანაუგრძნობს კავშირის გამგეობის წევრს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს სპარტაკ ქობულიას ძვირფასი ძმის

## კაკო ქობულიას

გარდაცვალების გამო.

---

დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, ელიზბარ ლომინაძე, გურამ გუნავა, თენგიზ კალანდაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ სპარტაკ ქობულიას ძმის

## კაკო ქობულიას

გარდაცვალების გამო.

---

აბელ გეგია ძმურად თანაუგრძნობს სპარტაკ ქობულიას ძმის

## აკაკის

გარდაცვალების გამო.

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაფიჩხოვოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ოჩხომურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 1000 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფიჩხოვოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 174 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 17.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) | 287 ლარი |
| | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 10 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ობიექტზე სამუშაოების ჩატარება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისადმი მიღებული უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორია, „სალხინოს“ კირქვის (ღორღი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 18 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინოს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 10 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 3 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და ,,წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე, ,,ენგური III“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 133 500 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 17 901 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1790,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 9 151 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 10 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 4 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |

| | | |
|---|---|---|
| 4 | სარგებლობის<br>ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია, მდ. სუფსის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 199 800 მ³ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 26 790 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 2 679 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი | 13 595 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 10 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 10 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 10 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის<br>ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). |
| | | ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
